ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | რედაქციის მისამართი: |
| --- | --- | --- |
| ერთი გვერდი . . . 150 მ. | ერთი წლით . . . 10 მან. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . . 75 მ. | სამი თვით . . . 3 ,, | კონტორის მისამართი: განათლების სახ კომისარიატი სახელ-გამი. ლორის-მელიქოვის ქ. № 5. |
| მეოთხედი გვერდი. . 50 მ. | ცალკე ნომერი ყველგან —50 კ. | მიიღება ხელის მაწერა დილის 8—2 ს. |

№ 27 | მაისი 1925 წ. | № 27


## ორი პირველ—მაისობა

1900 წელს, მაისობა გაიმართა საიდუმლოთ ქალაქს გარეთ, ნაძალადევის (ნახალოვკის) გადაღმა კუკიის ტბაზედ. ეს პირველი შემთხვევა იყო, სადაც სხვადასხვა დარგის მუშები ერთდაიმავე ორგანიზაციის წევრები შეხვდენ ერთმანეთს. კუკიის ტბის გარშემო მდგომი გორაკები ფარავდა შეკრებულთ ავი თვალისაგან. ის დრო რევოლიუციონურ მოძრაობის აღორძინების პირველი ხანა იყო, რკინის გზაზედ კონკის მუშებში ალელხანოვის ქარხანაში, თამბაქოს ქარხნებში, და სხვა საწარმოო დარგებში იყო ახლად ფეხადგმული მუშათა რევოლიუციონური ჯგუფები, ეს ჯგუფები ისეთი საიდუმლოებით იყვნენ მოცულნი, რომ ჯგუფის წევრის გარდა არავის უნდა სცოდნოდა ჯგუფის არსებობა; თუმც ჯგუფები ერთი და იგივე ორგანიზაციაში შედიოდენ, მაგრამ გარდა რამოდენიმე მოწინავე მუშისა, თითქმის არავინ იცოდა სხვა ჯგუფების არსებობა და მათი შემადგენლობის ვინაობა.

ტბაზედ შეკრება ძალიან საიდუმლოთ უნდა მომხდარიყო. მაისობის რამოდენიმე დღის წინათ მოწინავეებმა სათითაოდ გააფრთხილეს თავ-თავიანთ რაიონებში ჯგუფების წევრები, რომ ტბაზედ შეკრებულიყვენ ყველას თან უნდა წაელო პატარა საგძალი და ღვინო რომ ადგილზედ კრებისთვის ლხინის ხასიათი მიეცათ; ვინიცობაა პოლიციას გაეგო მისთვის თვალი აეხვიათ, და სამაისო დღესასწაული ყარაჩოღულ ლხინათ გაესაღებიათ. მუშები გულის კანკალით მოელოდენ ამ დღეს და თვითეული მათგანი გულის სუღრმეში ფარავდა რევოლიუციონურ საიდუმლოებას. იყო შემთხვევები ერთსა და იმავე ბინაზედ მცხოვრები ორი სხვადასხვა ჯგუფის მუშა ერთი მეორეს ატყუებდა „მე ხვალ სხვა ბიჭებთან ერთად ორთაჭალაში საქეიფოთ მივდივარ და შეიძლება საღამომდის არ მოვიდეო“. როდესაც ტბაზე ერთმანეთს ხვდებოდენ სიხარულით ერთი მეორეს ეხვეოდენ „თუ ამხანაგები ვიყავით ამ წმიდა საქმეში, რატომ აქამდის არ ვიცოდითო“. მიუხედავად იმისა, რომ მაისობაში მუშათა ძალიან ვიწრო წრეები ღებულობდენ მონაწილეობას, ხუთასამდე მუშა მაინც შეიკრიბა, ამ დღეს მუშების უმრავლესობა სხვადასხვა ჯგუფებიდან პირველად ხვდებოდენ ერთი მეორეს. მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. აფრიალდა წითელი დროშა, წარმოითქვა სამაისო სიტყვები. პირველი ცეცხლის ფრთებს ასხამდა მსმენელთ. მარსელიოზის გუგუნი მოედვა მწვანეთ აბიბინებულ გორაკებს, კუკიის ტბაზედ ტალღები შეირყა, გაისმა ხმები, დემონსტრაციით თბილისისაკენ! და მზის ჩასვლისას რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული ხუთასამდე მუშა წითელი დროშებით გადმოადგენ გორაკიდან თბილისს, ნაძალადევს მოესმა მარსელიოზის ხმა, დიდი და პატარა გარეთ გამოვარდა და მთისკენ იყურებოდა, დატრიალდა პოლიცია, მაგრამ სანამ თბილისში ჩამოსასვლელ გზებს შეკრავდენ, მუშებმა ფიცი დასდვეს, რომ საგაისოდ მაისობა ქალაქის ქუჩებზედ გადვიხადოთო. პოლიციამ ერთი კაცის დაჭერაც ვერ მოასწრო. მეორე დღეს ბევრი მუშა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლიუციონურ წრეში არ იყო მოხვედრილი, გულდაწყვეტით ამბობდა, „რა იქნებოდა, რომ მეც დავსწრებოდი გუშინ კუკიის ტბაზედო“.

ფიცი აასრულეს მუშებმა და 1901 წელს დაიწყო სამაისო მზადება ქუჩაში დემონსტრაციის მოსახდენათ. ძველი სტილით დემონსტრაცია 18 აპრილს უნდა მომხდარიყო, მაგრამ პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ მუშებისთვის ხელი შეეშალათ.

ჯერ კიდევ 17 აპრილს მთელი ქუჩები გაივსო პოლიციელებით. ორ კაცს ერთად არ გააჩერებდენ. ყველა მოედნებზედ ჯარის ნაწილები იდგა, ვითომდა სავარჯიშოდ. ქარხნებიდან მუშებს მხოლოდ სათითაოდ უშვებდენ შეიქნა ისეთი პირობები, რომ 18-ს ყოვლად შეუძლებელი გახდა დემონსტრაციის მოხდენა, მაგრამ რევოლიუციონერებმა ნახეს გამოსავალი გზა მეორე დღეს კვირა იყო, შუა ბაზარში იარმუკაზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. ხელმძღვანელმა ჯგუფმა გადასწყვიტა ბაზარში დემონსტრაციის გამართვა, რადგან გამოსულ ხალხში ადვილათ შეეძლოთ რევოლიუციონერებს თავის მოყრა. იმ დღეს მშვენიერი დარი იყო და შუა ბაზარში ბუზივით

ირეოდა ხალხი, მხოლოდ ყველას გაკვირვება ეხატა სახეზედ. რომ ყოველ კუთხეში ჩასაფრებულ ჯარს და პოლიციელებს ხედავდა; მთავრობას გაეგო რევოლიუციონერების გადაწყვეტილება და წინასწარ მიელო ზომები.

დროშა იმ დღეს არაქელას უნდა აეწია, არაქელა ცნობილი იყო თავის შეუდრეკლობით და ვაჟკაცობით. ის და ზაქარია ჩოდრიშვილი რევოლიუციონურ მუშაობაში, თუ ჭირში და ლხინში განუყრელი ამხანაგები იყვნენ. ერთი მეორეს თავის თავზედ უფრო ენდობოდენ. არაქელა კახეთის შოსეზედ მუშაობდა და ნავთლუღის ახლოს სცხოვრობდა, ზაქარია კი—ნახალოვკაში. დილით, როდესაც არაქელა უბეში დროშა გახვეული სახლიდან გამოდიოდა ზაქარო მიადგა კარებზე: „ბიჭო დარწმუნებული ვარ შენს გამბედაობაში და მოხერხებაში, მაგრამ ნახალოვკიდან მაინც აქ მოველ ფეხით, მინდა დავრწმუნდე, დროშა ხომ მოგაქ და ხელი ხომ არაფერმა შეგიშალაო“. დილის ათი საათი იქნებოდა ალექსანდროვის ბაღის ყურეში, სადაც ხაზინა იყო, იმის ქვევით რამოდენიმე ათეულმა მაგრად შეკრა მჭიდრო წრე, შუა წრეში სავაჭრო სტოლზედ შედგა აგიტატორი, და გაისმა სიტყვა რევოლ უც ონური; დაიჭქა მარსელიოზამ არაქელამ ჩოთქის ტარით ამართა დროშა და ეს მჭ დრო წრე გაემართა ერევნის მოედნისაკენ.

აირია ხალხი, აქა-იქ გაფანტული მუშები ემატებოდა შუა წრეს და არ უშვებდა დროშასთან მოსეულ ჯარს და პოლიციელებს, დატრიალდა ხმლები ყაზახების ცხენები სთელავდნენ ხალხს. პოლიციელებმა მიაწიეს დროშამდე, დროშა ხელიდან ხელში გადადიოდა და ასეთ ხელჩართულობით დემონსტრაციამ მიაწია შუა ბაზრამდე, აქ დროშა ისევ არაქელას მოხვდა ხელში, მაგრამ მიასწრო პრისტავმა გედევანიშვილმა და წაუვლო დროშას ხელი, შეიქნა დროშის გარშემო ხელჩართული ბრძოლა. მუშები წამოეხმარენ. არაქელას დროშა ველარ გადაარჩინეს მხოლოდ მთლიანათ მტერს მაინც არ დაანებეს ნაკუწებათ აქციეს. ქუჩა სავსე იყო ნაცემი და თავგატეხილ ხალხით. მუშებმაც დასჭრეს პრისტავი და რამოდენიმე პოლიციელი. დაიშალა დემონსტრაცია. რამოდენიმე ათეული მუშა და მათ შორის არაქელაც დაიჭირეს. ამ დღეს მოწაფეებსაც




ს. მ. უ. ს. ქუთაისის ჰიდრო-ელ. სადგური.

უნდა მიელო მონაწილეობა დემონსტრაციაში, მაგრამ ყველა შკოლის ადმინისტრაციამ ისინი სასწავლებლის შენობაში ჩაკეტა. ასეთი იყო პირველი ორი მაისობა თბილისში, რომლის გამოძახილიც გრიგალივით მოედვა შემდეგ წლებში ჩვენ ძველ ქვეყანას.

**ბაჭუა კუპრაშვილი.**

# უბრალო აბდულლაჰ

—აბდულ ქჲარიმ!—მიუბრუნდა სასამართლოს თავმჯდომარე აბდულლას.—ხომ გაიგეთ: თქვენ გაბრალაბენ მეურმეების გაცარცვას. სოფელ ჯანდარის მახლობლად. თქვენ იარაღით დაუხვდით ვორონცოვკელ მალაკნებს და წაართვით ფული და ქალაქში ნაყიდი საქონელი, ერთი კაციც ხანჯლით დასჭერით და ერთი ცხენიც მოჰკალით.

— ალლაჰ ილ ალლაჰ! —ამოიოხრა აბდულლამ.

— თქვენ სამნი იყავით. ორი ამხანაგი თქვენ აქამდის არ დაასახელეთ. მეორე დილით კვალი სოფელ სარვანში მოვიდა. თქვენ სარვანელი ხართ, არა?

— ბალი ალა,—დიაღ, აბდულლაჰ სარვანელია.

— კვალი თქვენი სახლის დერეფანში შევიდა. ეხლა გვიამბეთ, როგორ მოხდა ეს ამბავი?

— მე არ ვისი, ვალლაჰ, არ ვისი! წრფელის გულით დაიყვირა ახოვანმა აბდულლამ და გაქონილი მჯიღი განიერ მკერდზე დაიბაგუნა.—ვალლაჰ, არ ვისი! ვალლაჰ არ ვისი!

— კეთილი. იმავე დღეს მილიციამ თქვენს დერეფანში გოდრის ქვეშ იპოვნა ნაწილი წართმეულ საქონლისა, აი ეს ჩითი, პირსახოცი და ახალი რუსული ქუდი. ეს როგორღა მოხდა?

—ღმერთმანი, არ ვისი! ვალლაჰ, არ ვისი!—კვლავ წამოიძახა აბდულლამ და კვლავ მკერდზე ბაგა-ბუგი აიტეხა.

— კეთილი და პატიოსანი. აბდულ ქჲარიმ ოღლი! გაცარცულმა მალაკნებმა გიცნეს და ხელი დაგადეს. ამაზე რაღას იტყვით?

— ვალლაჰ, იანლინდლარ! ვალლა, იალანდი! ყურან აჰკი, იალანდი!—ღმერთმანი, შესცდნენ! ღმერთმანი, ტყუილია! ყურანის მადლს ვფიცავ, ტყუილია!

— აბდულ ქჲარიმ, გვიამბეთ, სად გაატარეთ ის დღე?

— აბდულლაჰ ძლივს ამტვრევდა ქართულს. სადაც გაუჭირდებოდა, თათრულს ჩაურევდა და თარჯიმანს მოიშველებდა.

იმ დღეს დილით აბდულლამ ბოსტანი მორწყო, იმისმა მოხუცმა დედამ ზჲოვრამ, აგერ იქ, ხალხში რომ ზის თავზე კოკოშ-დადგმული და ჩადრ-მოხურული, ბოსტანში ,,მასონი“ მოუტანა. მერე აბდულლაჰ სახლში დაბრუნდა და თავისი ,,სოლს ფჲათმას სოტა გაუჯავრდა“, რადგან ფჲათმამ აბდულლას საყვარელ ,,ლურჯა სხენს სხალი გვიან დაალევინა“. აბდულლას ერთი მოჯამაგირე

ჰყავს—ალი ყურბანი. იმ დღეს მოჯამაგირე „ქოჩში“ გაჰყვა აბდულლას საქონელს, რომელიც ლელვარის მთებში გაისტუმრა საზაფხულოდ. მხოლოდ ამიტომ დაავალა აბდულლამ ფჲათმას ,სხენის მოვლა (აგერ, ფჲათმაც იქა ზის, ზჲოვრას გვერდით) თორემ აბდულლაჰ სხვა დროს ასეთ საქმეს ფჲათმას არ მიანდობდა, რადგან ისე უფრთხილდებოდა თავის „სოლს“, როგორც საკუთარ თვალს. მაშ ასე: აბდულლაჰ „სოტა გაუსხრა ფჲათმას. მერე შეურიგდა: სოტა აკოსა, ერთი პატარა ფირუზი უფეშქაშა და ხრამზე სავიდა ხრამული თევზის დასაჩერად“. ბევრი იარა „სხალში აბდულლამ, მაგრამ „ზალიან სოტა თევზი დაიჩირა“. საღამოზე ისევ სახლში დაბრუნდა. მინდვრიდან ნახირი მოვიდა. აბდულლას ერთი მოზვერი არსად

აბდულლაჰ ტყუილ-უბრალოდ არ დაიფიცებს! აბდულლა პატიოსანი კაცია! ჰკითხეთ სარვანელ მულლას, თუნდ იქაურ ხელისუფლებს, თუნდ ყოველ ბორჩალოელ თათარს.

— დაუძახეთ მოწმეს—სთქვა მოსამართლემ და ერთხელ კიდევ თვალი აავლო გრუზა თათარს, რომელიც ხარის თვალებს ანათებდა, თეთრ კბილებს აელვებდა, გაღეღილ მკერდზე კვლავ მუშტს იპრაგუნებდა და სამს ენაზე ხმამაღლა გაიძახოდა:

— არა ღმეერთმანი! ვალლაჰ, მანიმ სუჩუმ იოღდი! ეი ბოხ, მაია ნეტ, ეი ბოხ! ეი ბოხ!

მერე დიდს დარბაზს თვალი გადაავლო და გაჩუმებულ ხალხში რომ გამოძახილი ვერ ჰპოვა, წელმოწყვე-



სახელმწიფო მამულების ტრესტი: ნიადაგის გადაბრუნება.

სჩანდა. აბდულლამ „ქოხი საილო და სავიდა“. სად არ იყო იმ ღამეს აბდულლაჰ, სად არ ირბინა დი იხეტიალა?! ალგეთის და ხრამის ნაპირები მოირბინა, ჯანდარის მიდამოებიც მოიარა, მარნეულშიც ავიდა და საჰკალ-თუთანის გორამდისაც კი ავიდა, მაგრამ მოზვერი ვერ იპოვნა. მთელი ღამე „სვიმდა“. აბდულა „ზალიან“ დასველდა. რიჟრაჟზე სახლში დაბრუნდა. კარები „ანამ“—დედამ გაუღო. არც ფჲათმას დასძინებიყო. ჰკითხეთ აბდულლას „ანას“ და „არვადს“—დედას და ცოლს, ორივენი აქ არიან; აგერ, იქ სხედან ორივენი. ისინი გეტყვიან სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს, რადგან—„ვალლაჰ, ეი ბოხ!“—არც ერთის პირს ჯერ ტყუილი არ მიჰკარებია.

— მეორე დღეს მილისია მოვიდა და დამიჩირა, მაგრამ—ვალლაჰ,—მანიმ სუჩუმ იოღდი!—ღმერთმანი, მე ბრალიანი არა ვარ, ღმერთმანი აბდულამ არაფერი არ ვისი! ეი ბოხ, ნეტ! ეი ბოხ მაია ნეტ!

აბდულლამ სათქმელი სთქვა და გაჩუმდა.

მოწმე? არა, აბდულლას მოწმე არა ჰყავს. იმ ღამეს მარტო დაეხეტებოდა მინდვრებში. ან რა საჭიროა მოწმე? აბდულლამ ათჯერ დაიფიცა. თუ გნებავთ, კურანზედაც დაიფიცებს. დაუძახეთ მოლლას, მოიტანეთ კურთიანი

ტილივით სკამზე დეეშვა, გრძელი ხელები ჯერ გაასავსავა, მერე მუხლებზე დაირტყა და მორჩილად შეჰლაღადა:

— ალლაჰ, ალლაჰ! სუდა დჲუშტუნ, სუა დჲუშტუნ,—თუნდ სამართალში ჩავარდნილხარ, თუნდ წყალში გადავარდნილხარ.

სამმა მალაკანმა აბდულ ქჲარიმს დაბეჯითებით დაადეს ხელი და მტკიცედ გაიძახოდნენ:

— ეს არის, სწორედ ეს არის.... კარგად გვახსოვს, ძალიან კარგად გვახსოვს.

— კარგად დააკვირდით, არ შესცდეთ.—რამდენჯერმე ურჩია რუსებს მოსამართლემ.—უბრალოდ ცოდო არ დაიდოთ, სინდისი არ დაიმძიმოთ.

— ეს არის, სწორედ ეს არის.—მაინც გაიძახოდნენ მალაკნები.—ეს ჩითიც ჩვენია, ეს პირსახოციც და ეს ქუდიც.. ქალაქში ვიყიდეთ, სახლში მიგვქონდა. ბევრი საქონელი გვქონდა, მაგრამ დანარჩენი დაკარგულა.

— ეი ბოხ, ნეტ! ეი ბოხ! ეი ბოხ!—პირში შესძახოდა მალაკნებს აბდულლა. მაგრამ მოწმენი ისევ ერთხელ ნათქვამს გაიძახოდნენ.

ბრალმდებელმა და დამცველმაც ბევრი ილაპარაკეს· მერე აბდულლას უკანასკნელი სიტყვა მისცეს.

— ღმერთმანი, არა! ვალლაჰ, მანიმ სუჩუმ იოლდი! ეი ბოხ, ნეტ! ეი ბოხ! ეი ბოხ!—ერთხელ კიდევ წამოიძახა აბდულლამ, მკერდი მძლავრად აიბაგუნა და დაჯდა.

მოსამართლენი გავიდნენ.

ჩადრწამოსხმულნი ზჲოვრა და ფჲათმა მოაჯირთან მივიდნენ და აბდულლას ჩურჩული დაუწყეს. ზჲოვრას ზურგზე ლურჯი ბოხჩა ჰკიდია. იმ ბოხჩიდან აბდულლას პირველი ვაჟის, ერთი წლის ვალლის შავი თავი მოსჩანს, რომელიც მაიმუნივით იკრიჭება, ჰყივის და ისე მიიწევს მამისკენ, რომ ლამის ბოხჩიდან ამოვარდეს. აბდულლამ ვალლი კატის კნუტივით აიტაცა, ათიოდჯერ დალოშნა, აათამაშა, მერე მკერდზე მიიკრა და ცოლს მიუბრუნდა. მერე, მოსამართლენი რომ ველარ იპოვა, დარაჯებს მიუბრუნდა, მკერდზე მუშტები წაიშინა და ცხარე ხმით აყვირდა:

— ვალლაჰ, ბილმერამ!.. ღმერთმანი, არ ვისი!... ეი ბოხ, მაია ნეტ! ეი ბოხ!... ეი ბოხ!

* * *

ორი დარაჯის თანხლებით აბდულლაჰ შუა ქუჩაში მიაბიჯებდა, ხელებს განივრად იქნევდა და ხანგამოშვებით ბურტყუნებდა:

— ალაჰ, ბუ ნა ხაბარდი? ბუ ნა ხაბარდი?

ფჲათმა და ზჲოვრა ჩუმის მოთქმით უკან მისდევდნენ და ზოგჯერ რამდენიმე სანუგეშო სიტყვას გადუგდებდნენ.



სახელმწიფო მამულების ტრესტი. (ნიადაგის დამზადება).

დიდხანს ილაპარაკეს, ერთმანერთს გაუკინეს, მოუალერსეს, იმედი მისცეს და გული გაუმაგრეს.

— ყოჩალ ოლუნ, ყოჩალ! ყორხმაინ. ბუგჲუნ ჩიხარამ.— ყოჩაღად იყავით, ნუ შეშინდებით, დღესვე გამოვალ. —უთხრა უკანასკნელი სიტყვა აბდულლამ და წამოდგა.

მოსამართლენი უკვე გამოვიდნენ. თავმჯდომარე დიდხანს კითხულობდა განაჩენს, რომელიც ასე დაამთავრა:

—...და მიესაჯოს აბდულლა ქჲარიმ ოღლის ათი წლით დაპატიმრება.

მოსამართლენი კვლავ გაბრუნდნენ და გავიდნენ. აბდულლაჰ გახევებული შეჰყურებდა მიმავალ მოსამართლეების ზურგებს. მერე მობრუნდა, ხალხს თვალი გადაავლო, სასოწარკვეთილ ღიმილით გაიღიმა და ათრთოლებულ ხმით წაიბუტბუტა:

— ალლაჰ! ბუ ნა ხაბარდი?!... ბუ ნა ხაბარდი?!— ალლაჰ, ეს რა ამბავია?

ზჲოვრამ კოკოშიან თავში ხელები წაივლო და დაიკვნესა. ფჲათმამ შეჰკივლა და ქმრისკენ წაიწია. პაწაწა ვალლიმ ჰყვიტინით დიდი დარბაზი გასტენა. ხოლო აბდულლა ხარის თვალებს უაზროდ აცეცებდა და ისევ იმ კარებს გასცქეროდა, სადაც მოსამართლენი მიიმალნენ. ბოლოს, ორთაჭალის საპატიმროს რომ მიადგნენ, აბდულლა მოტრიალდა, დარაჯებს გაუსხლტა; დედა, ბავშვი და ცოლი განიერ მკერდზე მიიხუტა და აბუტბუტდა. ბორჩალოელ თათარს ენა დაება, ტუჩები აუცახცახდა, კისერი მოედრიკა. თვისი დიდი თავი ორივე დედაკაცს მხრებზე დაუდო და თავის ბავშვივით ატირდა. დედაკაცებიც მოეხვივნენ და აკივდნენ. დაფეთებულმა დარაჯებმა პატიმარი ძლივს მოჰგლიჯეს დედაკაცებს და გაღებულ რკინის კარებში შეაგდეს.

პირველად დაემართა აბდულლას ქალური სენი, პირველად იტირა მან საქვეყნოდ და პირველად დაანახვა ადამიანს თვისი ცრემლი. აბდულლა ვაჟკაცი იყო, ნამდვილი თათარი ვაჟკაცი. ვინმეს რომ გაეგო მისი ქალური ტირილი, აბდულლას მთელ ბორჩალოში სახელი გაუტყდებოდა და საპატიმროშიც თავი მოეჭრებოდა. აბდულლამ იცოდა, რომ კარგი ვაჟკაცის სახელს საპატიმროში უფრო მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ბორჩალოში; ამიტომ საპყრობილეს ტალანში, სანამ დაბრუნებულ ტუსაღს სჩხრეკავდნენ, ფიცხლად თვალები შეიშრო და ნაძალადევად გული გაიმაგრა. დიდს ეზოში რომ გავიდა, აქეთ-იქიდან ტუსაღების ჟივილი მოესმა:

— აბდულლ, ხოშ გჲალდი!... აბდულ, როგორ გადარჩი?

აბდულლამ შავ წვერ-ულვაშში თეთრი კბილები გაელვა, პირსახეზე ჯვარცმულის ღიმილი აისახა, ორივე ხელი ასწია, ათივე თითი აუშიკა და გაბრაზებულის ხმით დაიძახა:

— ონ ილ!.. ათი სელისადი, ათი!..

უმალვე ჟივილ-ხივილი შესწყდა და ხუთსართულიანი შენობა ერთის წუთით გაყუჩდა და გაინაბა. აბდულას ყველანი იცნობდნენ და არ ელოდნენ ათ-წლიან განაჩენს, რომელიც იმ დღიდან ზურგმაგარმა თათარმა იმ შენობის ოდენაფშ ირთივით აიკიდა.

თავჩაღუნულმა აბდულლამ ეზო გადასჭრა, მეხუთე სართულში აიჭრა და მაღალ ფანჯარას ეცა. აბდულლას საკანი იქ იყო. იქიდან ხელის გულივით მოსჩანდა ნავთლუღი, სამგორის თვალუწვდენი მინდორი, სოღანლუღის მიდამოები, შავნაბადას ქედი, მირზოევის უწინდელი ბაღი და სასახლე, ორთაჭალის ბაღ-ბოსტნები, [...] დაკლაკნილი მტკვარი, შორეული რკინის ხიდი და ბორჩალოს გზა, რომელიც საპატიმროს ძირში გადიოდა და შავნაბადას კლდის ძირში იკარგებოდა. იმ გზაზე უნდა გაევლოთ ზჲოვრას და ფჲათმას, რომელიც იმ გზით ურმით უნდა წასულიყვნენ სარვანში. აბდულლა რკინის მოაჯირს ჩაებღაუჭა და გაშეშდა. ბორჩალოელთა რამდენიმე ურემმა გაიარა. ბოლოს, აბდულლას ურემიც გამოჩნდა. აბდულლამ იცნო თვისი წითელი ხარები, ტან-მაღალი მოჯამაგირე ალი ყურბანი, დედა და ცოლი. ურემი საპატიმროს გაუსწორდა. ზჲოვრა და ფჲათმა აქეთ იხედებიან... ალბად აბდულლას ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. აბდულლა უფრო აიწევს, მოაჯირში ხელს გაჰყოფს, ჭრელს ხელსახოცს აიქნევს და მძლავრის ხმით დაიძახებს:

— აი ანა—ა—ა!.. ფჲათმა—ა—ა! ფჲათმა—ა—ა!



სახელმწიფო მამულების ტრესტი. (ნიადაგის გაწმენდა).



Коллекция Ил. Федосеева

სახელმწიფო მამულიებს ტრესტი. (ნიადაგის დამზადბა).

დედაკაცები ურემში წამოიჭრებიან და აკივდებიან:
-- აბდულლა—ა--ა—აჰ!.. აბდულლ—ა—ა—აჰ!

— სალამა-ათ! სალამა—ა--ა—თ! მშვიდობით! მშვიდობით! სასოწარკვეთით ბღავის ტუსაღი.

— სალამა—ათ, აბდულაჰ, სალამა—ა—ათ!—ისმის ადუღებული პასუხი.

გარედან დარაჯი ჰყვირის, მაგრამ აბდულას აღარაფერი ესმის: კვლავ წითელ ჩვარს იქნევს, მოაჯირს ანჯღრევს და გრგვინავს:

— სალამა—ათ, ანა! სალამა--ათ, ჶძათმა, სალამა—ათ!

ოც ნაბიჯზე თოფმა დაიგრიალა და ტყვიამ კედლის მტვერი აბდულლას პირსახეში შეაყარა.

თათარი ორივე ხელით ანჯღრევს რკინის მოაჯირს და გაათფთრებით გაჰკივის დარაჯს:

— ჰაი, ქძოფა ოღლი! ით! დონღუზ! ვურ! გენა ვურ, გენა! მამაძაღლო! ძაღლო! ღორო! მესროლე! კიდევ მესროლე, კიდევ!



ცეკავშირის დირექტ. ვ. კანდელაკი



ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტი (დირექტორი ავადკოვი)

ტუსაღები აბდულლას ეცნენ, მოაჯირს ძალით მოჰგლიჯეს და ფანჯრის რაფიდან ძლივს ჩამოათრიეს. მაგრამ აბდულლა უარესად გამწარდა და გამხეცდა. ლომივით იბრძვის, დაჭრილ ნადირივით ჰღმუის, ჰგმინავს, ბღავის, ტუსაღებს ბავშვივით ჰფანტავს, ფანჯრის რაფაზე დათვივით იბობღება და დარაჯს გადასძახის.

— ით! დონღუზ! ვურ! ვუ—უ—რ!

დარაჯო, ესროლე აბდულლას! ერთხელ კიდევ ესროლე და მოჰკალი საწყალი თათარი! რად გაჩუმებულხარ, რად შესცქერი გაკვირვებული უბედურ აბდულლას?! ნუ დაგილია პირი! ესროლე, ესროლე და ბოლო მოუღე ისედაც მომაკვდავ აბდულლას!

— ანა—ა! ფჲათმა - ა—ა!.. ფჲათმა—ა ა!

ტუსაღებო, მეგობრებო, „ზმებო და ყარდაშებო"! თქვენ რაღა დაგემართათ?! რად ჩააცივდით თქვენს „იოლდაშს"?! რად ეჭიდებით, რად ებრძვით?! გაუშვით ხელი აბდულლას, გაუშვით! თავი უნდა შეაკლას დარაჯს. აღარ უნდა აბდულლას მკვდარი, სიცოცხლე, ისიც ოთხ კედელში, უდედოდ, უცოლოდ და უშვილოდ. ათი წელიწადი! ათი გაუთავებელი და გულდამლევი წელიწადი! ვიღა შეინახავს იმის ცოლშვილს, ვინ მოუვლის საქონელს, მინ მოუხნავს მინდვრებს და ვიღა მისცემს „ქომაგს" აბდულლას ოჯახს?! დაინგრევა აბდულლას ბუდე, გატიალდება მისი სახლ-კარი, დაილევა „ყულფათი" და საქონელი. დაიღუპა აბდულლ ქჲარიმი! დაიღუპა მისი ახალგაზრდობა და გათავდა მისი სიცოცხლეც!

ერთხელ კიდევ ავარდა აბდულლაჰ ფანჯარაზე და გზას გადაჰხედა. ურემი ტყვეულობის ქარხანას მიეფარა. მოუსვენრად სტოკავს და ზოგჯერ ძილში უცნაურს გაჰკივის.

სიტყვაზე მეტის-მეტად გაძუნწდა და თითქმის დამუნჯდა. მხოლოდ შაქროს ენდობა აბდულლა. შაქრო



ს. მ. უ .ს. მექვენის ელ. სადგური.

ძველი ტუსაღია. სატუსაღოში დაიბადა და [illegible]იქვე გაიზარდა. შაქრო აბდულლას „ზმა-ბიჩია, კარგი ვაჟკასია, ყოჩია, ნამდვილი ფაშაა, ფალევანია". ტუსაღები „აღას ნოქრები" არიან, აღა შაქროს ემსახურებიან, ხარკს აძლევენ და პირში შესცქერიან. აბდულლაჰ და შაქრო დიდი ხანია „დაზმობილდნენ". ზოგჯერ განზე გავლენ, ან ერთ ტახტზე ჩამოსხდებიან და ხანგრძლივ მუსაიფს გააბამენ.



ს. მ. უ. ს. საპნის და ზეთის ქარხნები.

მოწყვეტილი ტანი ძლივს ჩამოათრია, ტახტზე მიეგდო და თავპირზე ჭრელი და გაქონილი ხელსახოცი გადაიფარა.

* *
*

დღეს დღე მოსდევს და კვირას კვირა,—ყველა გრძელი, ბნელი და სევდიანი. აბდულლაჰ დარდს მუშაობაში ახჩობს. რიჟრაჟიდან დაღამებამდის სამზარეულოში მუშაობს. შეშას აპობს, ხორცს სჭრის და ქვაბებს ხეხავს. საღამოზე ადრე მისწვება, მაგრამ შუაღამემდის ძილს ვერ იკარებს: უძირო ოხვრით ოხრავს, მძიმედ ქშინავს,

— ზალიან მტკივა გული, ზმაო შაქრო.—ჩივის აბდულლაჰ.—ღმერთმანი, აბდულლა უბრალოა. ვალლაჰ უბრალოა.

შაქროს სჯერა „ყარდაშის" უბრალოება და ესმის „იოლდაშის" ტანჯვა, ამიტომ ტუსაღურ ნუგეშით გულს უმაგრებს და მომავალ თავისუფლებით ამხნევებს. ბაასი და ნუგეში ჩუმის ბაიათით თავდება.

— აი ბალამ ბალა-ა-ამ.. .

აზიზიმ ვაი დარდიმ,
ვაი დარმანიმ დაი დარდი-ი-იმ.
ელლარ ვაი აჰქტი, გჲულ დარდი.
მან გჲულ აქტიმ ვაი დარდი-იმ....

(ჩემო ტურფავ! ვაი მოვკრიფე. ვაი ნუგეშო, ვაი დარდო! სხვებმა დარდი დასთესეს და ვარდი მოჰკრიფეს, მე კი ვარდი დავთესე და დარდი მოვკრიფე).

აბდულლას სიმღერა სტირის, კვნესის და უნუგეშო მოთქმით გლოვობს. აბდულლაჰ შაირს ოხვრით იწყებს და გმინვით ათავებს. ზოგჯერ გაინაბება და ქონიან თათს ქურდულად თვალებზე ისვამს, ზოგჯერ კი რაღაც ცეცხლით ადუღდება და ბურტყუნებს:

— ვისი, ვინც დამღუპა. ისის აბდულლამ, ისის მაგრამ....

მაგრამ აბდულლაჰ სდუმს, რადგან ნათესავის გაცემა „სირსხვილია“. ესეც რომ არ იყოს, აბდულლას საბუთი არა აქვს, სხვის დანაშაულს ვერ „დაამტკიცებს და ტყვილად შერსხვება“. ამიტომ სდუმს აბდულაჰ, დარდს გულში

— ყურუმსაღ, მუსტაფა! ყაჩაღ, მუსტაფა! დამსადეჲ აბდულლას, დამსადე! აბრულლამ შენი სოლშვილის სისხლი უნდა დალიოს და შენი ხორცი უნდა ზაღლს აჭამოს. დონღუზ!... ით!... ქოფა-ოღლი!

როდესაც აბდულას შავი ვარამი მოერევა ხოლმე, ტუსაღები თათარს ფეხაკრებით გაუვლიან და ლაპარაკსაც ერიდებიან. მაგრამ ყველამ არ იცის აბდულლას ხასიათი, ზოგჯერ ვინმე უდროოდ აუხირდება და მეშაბათესავით ჩამოეკიდება. აბდულლაჰ აბეზარს ერიდება, ილრინება და გულში ბრაზის შადრევანს იგუბებს. მაგრამ ზოგჯერ ის შადრევანი უნებურად ამოხეთქავს და ბორჩალოელი თათარი ყუმბარასავით გასკდება ხოლმე. წუნარს, ჩუმსა და უწყინარ აბდულლას ველარავინ იმაგრებს.

უცებ სადმე იფეთქებს ღმუილი, ხრიალი, ყმუილი და ღრიალი. მისი ნახტომი ფოცხვერის კამარას ჰგავს. სეტყვასავით ისმის ლაწა-ლუწი, ბაგუნი, რახა-რუხი და აბდულლას შეძახილი:

— ჰაი, ანასინი!... დონღუზ! ით!... ქჲოფა-ოღლი!



ს. მ. ფ. ს. ტყის გაკაფვა.

იხრჩობს და ბედის განაჩენს ელის. სწამს აბდულლას ბედი და მისი ულმობელი სამართალი. ალლაჰ კი აღარ სწამს აბდულლას. სანამ ათ წელიწადს მიუსჯიდნენ, დღეში ხალიჩას ხუთჯერ გაიშლიდა, პირს მექასკენ მიიბრუნებდა და სალოცავს ბუტბუტით იტყოდა. ეხლა კი ალლაჰმა და აბდულლამ ერთმანეთს ზურგი შეაქციეს. რატომ არ უშველა ალლაჰმა აბდულას?! რატომ არ გამოაჩინა თვისი ძალა და სამართალი? რას ერჩოდა ალაჰი უბრალოს და უწყინარ აბდულლას? რა დააშავა სარვანელმა თათარმა ისეთი შეუნდობარი, რომ ასე სასტიკად დაისაჯა? არა, აღარ ყოფილა ცაში ალლაჰი და აღარც ძალა ჰქონია ამ ქვეყნად.

როცა აბდულლაჰ დარდს გაიხსენებს და შაქროს გულის ტკივილს შესჩივლებს, ოხვრას მუქარით და აფეთქებით დაასრულებს ხოლმე. დიდი საბერველივით აქშინდება, მკერდზე მუშტებს აიბრახუნებს, გაქონილ თითს ბორჩალოსკენ გაიშვერს და დათვივით ბურტყუნებს:

იმსხვრევა ტახტი, სკამი, ჰურჰელი და განწირულ ტუსაღის კბილები და ნეკნები. ტუსაღები ფუტკარივით ეხვევიან აბდულლას და ჩაბღუჯულ მსხვერპლის გამოგლეჯას ლამობენ. აბდულლაჰ ამ ქვეყნისა აღარ არის. ველარას ხედავს, აღარც ტუსაღების ყრიამული ესმის და არც ნაკბენს ან ნაღრძობს ჰგრძნობს. მარტო შაქრომ იცის აბდულლას მოსულიერების ხერხი. როგორმე წასწვდება და ყურში ჩასძახებს:

— აბდულლ, გეყოფა! აბდულ, იეთარ!

აბდულლაჰ რომ შაქროს ხმას გაიგებს, უმალ რკინის მუხრუჭებს მოუშვებს და მიბნედილ-დასისხლიანებულ მსხვერპლს გაანთავისუფლებს.

აბდულლაჰ უსმელ-უჭმელი დარჩება, ოღონდ ფანჯარასთან ააფოფხეთ და გარეთ გაახედეთ. იქიდან უუზარმაზარი ქვეყანა მოსჩანს.

ნავთლუღიდან გამოსული მატარებელი გველივით მოსრიალებს. ნეტა სად მიდის იგი, ბაქოსკენ თუ ბორჩა-

ლოსკენ? ზოგჯერ მატარებელი მარჯვნივ მოუხვევს, ხიდს გადასჭრის, შავნაბადას კლდესთან მიიმალება და თან აბდულლას აკვნესებულ გულს და ადუღებულ სულს გაიყოლებს. ორი საათის შემდეგ ის მატარებელი ალგეთს გადასჭრის და სარვანს გვერდით ჩაუვლის. იქნება ზღო-



ს. მ. უ. ს. ტყის გაკაფვა.

ვრამ და ფჲთმამაც დაინახონ რკინის „შაითანი" და როგორმე მიიღონ აბდულლას მხურვალე სალამი, რომელიც მან იმ მატარებელს გააყოლა. ოოჰ, ნეტა აბდულლაჰ ეხლა ერთ ვაგონს ჩამოეკონწიალოს! სანდარს რომ გასცდებიან, აბდულლაჰ გაქანებულ ვაგონიდან ისკუპებს, სარვანში სირბილით შევარდება და თავის ცოლშვილს ისე ჩაეხუტება, როგორც რკინის მოაჯირს, რომელსაც ეხლა ისე აწვება, რომ ლამის გაგლიჯოს და იმ საკნიდან შორეულ მატარებელზე გადაფრინდეს. ა-ლლაჰ, ა-ლლაჰ! ოღონდ გალავანს გადააცილე აბდულლაჰ, თორემ სარვანისკენ სხვა გზასაც იპოვნის. აგერ, ის შარა გზაც სარვანისკენ მიდის. აგერ,



ტყის ტრესტის ქარხანა.

ბორჩალოელი ურმებიც იქით მიიზლაზნებიან. აგერ, მარნეულელთა ურმებიც... აი, ჯანდარელი თათრები... აი მარაბდელი ქართველებიც.

იცნობს, აბდულლაჰ, იცნობს ბორჩალოელებს! ან რად უნდა აბდულლას ურემი და შარა გზა?! აბდულლაჰ შავნაბადას ქედს აჰყვება, საპატიმროდან ასი ნაბიჯის მანძილზე რომ იწყება, მერე კუმისის ტბასთან ჩავა, იქიდან პირდაპირ გასწევს და სარვანში ჩავა. აგერ, ბოსტა-

ნში სამი კაცი მუშაობს. ქარხნის კარებთან ქალ-ვაჟი თამაშობენ. გზაზე ბავშვი მირბის. უკან ძაღლი მისდევს. სოღანლუღისკენ ხუთი ყვავი მიჰფრინავს. ოოჰ, რა ბედნიერნი არიან ყ?ელანი! ნეტავი თქვენ, ბოსტნის მუშებო ქალ-ვაჟო და ბ?უშო, რომ თავისუფლები ხართ! ნეტავი თქვენც, მეურმეებო, რომ ბორჩალოში მისდიხართ, რომ ამაღამ თქვენს ოჯახში მიხვალთ და თქვენს ცოლ-შვილს საჩუქარსაც მიუტანთ! ნეტავი თქვენ, უკუდო ძაღლო და შავო ყვავებო! თქვენც აბდულლაზე ბედნიერები ხართ! ათჯერ და ათასჯერ უფრო ბედნიერები ხართ. ხელ-ფეხი და ფრთები შეკრული არა გაქვთ და თავისუფლად შეგიძლიანთ თუნდ მარცხნივ გაფრინდეთ, თუნდ მარჯვნივ



ს. მ. უ. ს. წითელი დირექტორები.

გაიქცეთ, თუნდ დაისვენოთ, თუნდ იჩხავლოთ, ან ჰყეფოთ.

აბდულლა კი.... აბდულლას გულიანად ბაიათის თქმაც კი აკრძალული აქვს. და გულაჩქროლებული აბდულლაჰ ისე ჩუმად კვნესის და ჰგოდებს, რომ თავისი გულის ოხვრა მხოლოდ თვითონვე ესმის:

— აი ბალამ ბალა-ა-ამ....
ელლარ ვაი აჰქტი გჲულ დარდი,
მან გჲულ აჰქტიმ, ვაი დარდი-ი-იმ....

Жил. Федосеева
Грязнова

დღე არ გავა, რომ ასიოდე ტუსაღს ნათესავები და მეგობრები არ მოუვიდნენ და გემრიელი საჭმელი არ მოუტანონ. მარტო აბდულლაჰ დაივიწყეს ალლაჰმაც, ნათესავებმაც და მეგობრებმაც. აბდულლაჰ ამის გამო გაუძლისის დარდით დარდობს, მაგრამ არავისზე გულნატკენი არ არის, რადგან არც ბორჩალოა ახლოს და არც ბორჩალოელებს სცალიანთ, რომ აბდულლას სანახავად



ს. მ. უ. ს. ბამბის ქარხანა.

სამიოდე დღე დაჰკარგონ. აბდულლას „ანა და არვადი"—ზმოვრა და ფჲათმა სამ-ოთხ თვეში ერთხელ ჩამოვლენ. რკინის მოაჯირს აქეთ-იქიდან ორმოციოდე ტუსაღი და მათი ნათესავი მიეკვრებიან და ისეთს ყაყანს და კივილ-წივილს ასტეხენ, რომ ერთმანეთის ნალაპარაკევი ძლივს ესმით. აბდულლაჰ რომ ზმოვრას და ფჲათმას დაინახავს, რკინის მოაჯირს ისე მძლავრად მიაწვება და ისე გაჰყვირის, რომ ლამის რკინის ჩარჩოები გაანგრიოს და თა-



ს. მ. უ. ს. ელ—სადგურის პროექტი რიცეულში.

ვისი ხმის გარდა აღარავის არაფერი გააგონებინოს. როდესაც აბდულლაჰ ძლივს მოასწყდება მოაჯირს და საკანში დაბრუნდება, მოტანილ სანოვაგეს შაქროს გაუნაწილებს და კვლავ აბურტყუნდება;

—ჩემი ლურჯა სხენი გაუყიდნიათ.... სამოსი სხვარი ყაჩაღებს მოუტაცნიათ. —ან კიდევ; —ორი ზროხა მომიკვდა.... ანა ზალიან ავად ყოფილა.... ოჯახი ხელიდან სავიდა, სულ სავიდა;

ერთი წელიწადი გავიდა. ოქტომბერში აბდულლას „დაუზახეს", ათასი რამ გამოჰკითხეს და მერე „გამოუსხადეს", რომ აბდულლას პატიმრობის ვადა, „სამი სლით შეუმცირეს". ექვსი „სელისადი"-ღა დარჩა აბდულლას. მხოლოდ ექვსი! ექვსჯერ უნდა მოვიდეს ზამთარი და ექვსჯერ გამოზაფხულდეს. მერე კი ... მერე აბდულლაჰ აგერ იმ გზას დაადგება, სარვანში ჩავა, მუსტაფას მიადგება, და.... რას ეტყვის აბდულლაჰ მუსტაფას? როგორ გადაუხდის სამაგიეროს? არა, არა! აბდულლაჰ ამას ვერავის ეტყვის, ვერავის. გარდა შაქროსი, თავისი „ზმისა და ყარდაშისა", მუსტაფამ ჯერ იაროს და „ისხოვროს". ექვსი „სელისადი" არც ისე ბევრია, რომ აბდულლამ ვერ გასძლოს. არა უშავს რა, „მოისადოს მუსტაფამ, მოისადოს".

კიდევ გავიდა ერთი გრძელი და გაუთავებელი წელიწადი. ოქტომბერში კიდევ ერთხელ „დაუზახეს" აბდულლას და კიდევ ერთხელ „გამოუსხადეს, რომ აბდულლას კიდევ სამი სელისადი დაუკლეს". ეხლა ორი „სელისადი" დარჩა, მხოლოდ ორი, ორი! ალლაჰ, შენ უშველე აბდულლაჰ ქჲარიმ ოღლის!

აგერ ექვსი თვე მიდის, რაც აბდულლას არც დედა და ცოლი უნახავს და აღარც მათი ამბავი გაუგია. ბოლოს, ერთხელ კიდევ მოვიდა სანატრელი დღე. აბდულლაჰ მოაჯირთან გაიწვიეს.

—ფჲათმა! ფჲათმა, ყურბან ოლემ სანა! ნეჯასან?

—შენ გენაცვალე, შენ! როგორა ხარ?

ფჲათმა, მარტო რად მოხვედი? სად არის ზმოვრა? რატომ აბდულლას „ანა" არ ჩამოვიდა? რაო, ძალიან ავად არის? იქნება... ფჲათმა, ნუ დაუმალავ აბდულლას! უთხარი სიმართლე, უთხარი! ზმოვრა... ალლაჰ, ალლაჰ! მაშ ზმოვრა მოკვდა? როდის? როგორ? მაშ ზმოვრა რომ სულს ალლაჰს აბარებდა, მართლა აბდულლას სახელს იხსენებდა? ალლაჰ, შენ უშველე ეხლა აბდულლას და იმის დანგრეულ ოჯახს! გააძლებინე მხოლოდ ორი წელიწადი, მხოლოდ ორი. მერე თვითონ იცის აბდულლამ. თვითონ მოუვლის ფჲათმასაც და ვალლისაც, თვითონ მიუძღვნის საზღაურს მტერსაც და მოყვარესაც. ფჲათმა, ყურბან ოლემ სანა, ფჲათმა! შენც მოითმინე ორი წელიწადი, მხოლოდ ორი! მოითმინე და ერთგულად შეუნახე შენი ქალური ნამუსი შენს აბდულლას. მოჯამაგირე ალი ყურბანი გიმეელის. გაჰყიდე, რაც გასასყიდი გაქვს, ოღონდ ოჯახს ნუ დაუნგრევ აბდულლას და საქვეყნოდ თავს ნუ მოსჭრი, თორემ აბდულლას უშენოდ ცოცხალი თავი აღარ უნდა. ფჲათმა! მარტო ნუ ხარ ოჯახში. ალი ყურბანი ვაჟკაცია... აბდულლას სჯერა შენი ერთგულება, მაგრამ ხალხი ქორიანია. აბდულლას მაშინდა შენთან გადმოიყვანე. რა სთქვი? უკვე მოიყვანე? მაშ ერთად სცხოვრობთ... ყოჩაღ, ფჲათმა, ყოჩაღ! „ყურბან ოლემ სანა, ფჲათმა, ყურბან"! წასვლის დრო მოვიდა? დარაჯო, ცოტა კიდევ მოიცადე! ცოტა კიდევ დაცადე დაობლებულ აბდულლას. ჯერ არ გაუთავებია ლაპარაკი. ჯერ ბევრი აქვს სათქმელი და დასარიგებელი. მოიცა, დარაჯო, მოიცა მეთქი! ოოჰ, დონლეუზ! ააი! ქჲოფა-ოღლი! ფჲათმა, ყურბან ოლემ სანა, ყურბან! ვალლი, სალამათ! სალამა-ა-ათ!

ნუ თუ აბდულლას ოჯახს დედაბოძი გამოეცალა? ნუ თუ იმის კერას ცეცხლი დაეხსა? ნუ თუ მართლა ინგრევა აბდულლას ბუდე? ფჲათმა ყოჩაღი ქალია, მაგრამ მაინც ქალია. ამ ქვეყნად შურიანი ხალხი ბევრია. უპატრონობით ისარგებლებენ და აბდულლას ქონებას დაიტაცებენ. აი, აკი უთხრა დღესაც ფჲათმამ აბდულლას, რომ კიდევ დაიკარგა ათი ცხვარი, ერთი დეკეული და მროვა.

ლი წვრილმანი. რაღა დარჩა ეხლა აბდულლას? ერთი კამეჩი, ორი ზაქი, ერთი ძროხა, სამი დეკეული და ერთი ვირი. ალლაჰ, თუ ხარ სადმე, ეხლა უშველე აბდულლას! ალლაჰ! ალლაჰ!

დრო ზლაზვნით და ფოფხით მიდის, თითქოს კიბო მიიჩარჩებაო. საპყრობილეს მიდამოები ერთხელ კიდევ დაითოვლა და ერთხელ კიდევ აბიბინდა. წინად აბდულლას ორიოდე თვეში ერთი წერილი მოსდიოდა ფჲათმასგან, ხოლო სამ-ოთხ თვეში თვითონაც ჩამოდიოდა ხოლმე ქალაქში. ეხლა კი ექვსი თვეც გავიდა, მაგრამ აღარც წერილი მოსჩანს და არც ფჲათმა.



ს მ. უ. ს. ზეთის ქარხანა.

რა დაგემართა, ფჲათმა „ყიზი“ ქალო? შენც ზჲოვრას ხომ არ გაჰყევი? იქნება ავადა ხარ? ან იქნება მოგიტაცა ვინმემ? რად დადუმებულხარ, რად აწამებ დუმილით საწყალ აბდულლას? არც მოლლა იძლევა პასუხს, არც აბდულლას მეორე ბიძაშვილი სოჲუნი.

ერთხელ კიდევ დაუძახეს აბდულლას და ერთხელ კიდევ „გამოუსხადეს, რომ ერთი სელისადიც მოსჭრეს“. შაქრო, უშველე აბდულლას! „შენი ჩირი მე, ზმაო შაქრო“, დასთვალე კარგად, როდის გავა აქედან „შენი ყარდაში“ აბდულლ ქჲარიმი? ხუთი თვის შემდეგ? ალლაჰ, ილ ალლაჰ! მთავრობავ, „ჩოხ საღ ოლ! ალლაჰ სანა იახშილიოვერსინ“. — დიდი მადლობელი, ღმერთმა სიკეთე მოგცეს. შაქრო, ერთი „სერილი მისსერე“ სანდარის სადგურის დარაჯს მიხა კიკილაშვილს ფჲათმასთვის. რაკი სარვანის მოლლა აბდულლას პასუხს „არ აზლევს, მიხა სავა ფჲათმასთან, საუკითხავს სერილს და პასუხსაც დაუსერს“. მიხა აბდულლას „ყონაღია“, მისი „ზმა ბიჩია“, კარგი „იოლდაშია“. აბა, დაჯექი და ასე დაიწყე:



ჩემოს შენობა.

— „ფჲათმა, ჩემო ფჲათმა! ოქვსი თვე სავიდა. შენი სერილი არ მოდის. არს შენ მოხვედი. ფჲათმა, ავად გახდი თუ აბდულლაჰ დაივისხე? ორი სერილი დაგსერე, მაგრამ პასუხი არ არის. არ ვისი, ჩემო არვადო, —ჩემო [illegible] ლო, —ვიტირო თუ გავისინო. თვალები სრემლით მევსება, როსა შენ მაგონდები. ფიქრმა ზალიან შემასუხა. იქნება აბდულლაჰ დაივისხე? იქნება სხვა „ქიში“, სხვა ქმარი იპოვნე? ეხლა სისილიც მინდა, რადგან ზალიან გახარებული ვარ. ხუთი თვე დამრჩა. მერე სარვანში მოვალ და ისევ დავისხებ სისოსხლეს. შენც გაიხარე და გაისინე. მაგრამ ეხლა გული მაინს ზალიან სუდათ მაქვს. რატომ შენგან ხაბარი-ამბავიარ მომდის?. რად დამივისხე? როგორ არის ჩემი შვილი ვალლი? ჩემი საქონელი და



„ჩემოს“ თავმჯდომარე გ. ვაშაძე.

ოჯახი? ფჲათმა, ჩემო ფჲათმა! ეს სერილი რომ აილო ჩქარა სამოდი ქალაქში და სოტა ფულიც მომიტანე. თუ ვერ სამოხვიდე, ერთი ბალაჯა-პატარა სერილი მაინც გამოგზავნე, თორემ აბდულლას დარდისგან აღარ ეზინება. თუ ორ კვირაში შენ არ მოხვედი, ან ერთი სერილი არ დასცერე, შენი აბდულლაჰ ჯავრით მოკვდება. ფჲათმა, ორჯერ აკოსე აბდულლას მაგივრად ბალაჯა-პაწაწა ვალლის. აბა, სალამათ ოლ, ფჲათმა! ალლაჰმა ხეირი მოგცეს. მშვიდობით, ფჲათმა ყიზი, მშვიდობით! შენი „ქიში“ —ქმარი აბდულლაჰ ქიარიმ ოლლი“.



„ჩემოს“ დირექტორი ს. დარახველიძე.

ორი კვირა ტაატით მიდიოდა და თან აბდულლას გულს მიათრევდა. ორ კვირას ორიც მოჰყვა. სულმდუღარე აბდულლაჰ ვერც დასაჯდომს ჰპოულობდა თა ვერც დასაწოლს. გაბრუებული თათარი დარეტიანებულ პირუტყვივით დაბორიალებდა, ხშირად ხელებს პირსახესთან აიქნევდა და თავის თავს ეკითხებოდა:

—ალლაჰ, ბუ ნა ხაბარდი? ბუ ნა ალამათდი?

ველარც შაქროს ნუგეში სჭრიდა და ვერც მისი „ზმა-ბიჩუ·რი სისილი“. აბდულლაჰ მოიღუშა, მოიღრიკა და ღამესავით დაბნელდა.

შაქროს პატიმრობის ვადა გაუთავდა.

—მშვიდობით, ძმაო აბდულლ, მშვიდობით!

—სალამათ, ზმაო შაქრო, სალამათ! შენი იოლდაში და ყარდაში აბდულლაჰ არ დაივისხო.

შაქრომ აბდულლას თავისი ბინა ასწავლა, გული გაუმაგრა, „ზმა-ბიჩურად“ გალაეხვია და წავიდა. —„სალა-მათ ოლ, ზმაო შაქრო, სალამათ!“



სააქციო საზოგად. თავმჯდ. მოად. ი. წერეთელი.

იმავე დღეებში აბდულამ საპყრობილეს გამგეს უთხრა:—მე მინდა ავჩალაში სავიდე.

აბდულლას ოთხი თვე ჰქონდა დარჩენილი, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ აბდულაც ზემო ავჭალაში გაგზავნეს სამუშაოდ.

აბდულლაჰ თითქმის თავისუფალია. დადის, მუშაობს და იქაურობას ათვალიერებს. მუშა-ტუსალებს მხოლოდ დაღამებისას დასთვლიან, ფიცრულ შენობაში ჩაჰკეტავენ და მეორე დილით ისევ გამოუშვებენ. ერთხელ, ტუსალების დათვლის დროს, აბდულლაჰ ქჲარიმის სახელი რომ ამოიკითხეს: მისი ჩვეულებრივი პასუხი—„ზდეს„ —აღარ გაისმა. მიიხედ-მოიხედეს, მოიკითხეს, მოსძებნეს და გაიკვირვეს. აბდულლაჰ გაიქცა? აბდულლაჰ? ასეთი მშვიდი და პატიოსანი ტუსაღი? ისიც რა დროს! სამი წელიწადი დალია და სამ თვეს გაექცა?! ისევ მოიკითხეს, მოსძებნეს, ქაღალდი დასწერეს და დამშვიდდნენ.

* * *

შუაღამე გადასული იყო, რომ სადგურ სანდარს მატარებელი მიუახლოვდა. მიმავალ მატარებლიდან თავახვეული აბდულლაჰ გადმოხტა და სიბნელეს შეერია. ერთი საათის შემდეგ მისა ჩრდილი სოფელ სარვანში შეი-



სამთო-მადნო კავშირის ადგილკომი. ეგ. ქიალაშვილი და ალ. შენგელია.

პარა. გველივით მისცურავს აბდულლაჰ. აგერ მისი ბიძაშვილის—მუსტაფას სახლი.... აი, სოჲუნას მიწურიც.... აჰა, აბდულლას პაწაწინა ბაღჩაც. ალბად ყველას სძინავს აბდულლას სახლში. როგორ გაოცდება ფჲათმა! როგორ გაიხარებს ვალლი! როგორ ჩაიხუტებს აბდულლაჰ სამი წლის დაქვრივებულ ფჲათმას! ჩქარა, აბდულლ, ჩქარა! შველივით გადახტი დაბალ ღობეზე, გაირბინე ა..... ბული ბაღჩა, მოუარე გომურს და....

— ღმერთო დიდებულო! ალლაჰ ძლიერო! ეს რა ამბავია? ბუ ნა ხაბარდი?

ქვითკირის პატარა შენობას აღარც სახურავი აქვს, არც აივანი, არც კარებისა და არც ფანჯრების ჩარჩოები. კედლებიც დანგრეულია. მხოლოდ ბუხარი მოსჩანს შავად შავს ღამეში, როგორც სქელი და გარუჯული ბოძი. აღარც ფიცრული საქათმე მოსჩანს, არც ბეღელი და არც სათივე. მხოლოდ ბოსელი დარჩენილა, ისიც იმიტომ, რომ მეზობლებს გამხმარი წნელის მოტაცება ვერ მოუსწრიათ.



ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადოება.

აბდულამ ორჯერ შემოუარა მოშლილ ბუდეს. მერე დანგრეულ ღობეს გადაალაჯა და სოჲუნას მიწურს მიადგა.

სოჲუნ, გარეთ გამოდი! ნუ ჰყვირი, ჩუმად ილაპარაკე, აბდულლაჰ გეძახის, აბდურლაჰ. ველარ იცანი? აბდულლაჰ ქჲარიმ ოღლია, შენი ბიძაშვილი. როგორ გაჩ-



წინანდალის მთავარი სარდაფი.

ნდა აქ აბდულლაჰ? რა დროს ეგ არის! უთხარი, ჩქარა უთხარი აბდულლას, რა დაემართა იმის ოჯახს? რად დაინგრა მისი სახლ-კარი? სად არიან ფჲათმა და ვალლი?

სოჲუნა ბორძიკით ლაპარაკობს. საწყალი ზჲოვრა რომ მოკვდა, ფჲათმა მარტო დარჩა. ფჲათმას აბდულლას ნათესავი ქვრივი დედაკაცი მოეშველა. მაგრამ მა-

ლე ისევ სოფელ არახლუში დაბრუნდა. მერე.... ნუ შეეშინდება ეს ამბავი, აბდულლაჰ!... მერე სოფელში ხმა დადიოდა, ვითომ შენი მოჯამაგირე ალი ყურბანი და... და ფძათმა „ქიში და არვადი“ გახდნენ. ამბავი გამართლდა. ფძათმა დაორსულდა.

—ალლაჰ, ალლაჰ!

—ბოლოს ფძათმას ვაჟი ეყოლა.

—ღმერთო დიდებულო!

—შენი წერილი რომ მოუვიდა და გაიგო, რომ შენ მალე გამოხვალ „ყალადან“, საქონელი გაჰყიდა და გადაიკარგა. ამბობენ, ალი ყურბანმა ყაზახში წაიყვანაო.... აბდულლაჰ, გამაგრდი! კარგი ვაჟკაცი ხარ, აყალმაყალს ნუ ასტეხავ. ორიოდე წელიწადში წელს მოიმაგრებ და ერთ ლამაზ „ყიზის“ კიდევ იშოვნი.

რა სთქვი, თოკი? თოკი რად გინდა? სოჲუნას თოკი აქვს, ეხლავე გამოიტანს, მაგრამ... ნეტა რად უნდა აბდულას თოკი? აბდულაჰ სად მიდიხარ ამ დროს? სოჲუნას სახლში შედი, დაიძინე და ხვალ დილით ..

— სალამათ, სოჲუნ, სალამათ!

მეტი არაფერი სთქვა და სწრაფის ნაბიჯით წყვდიადს შეერია. ცოტა ხნის შემდეგ მუსტაფას მიწურის ბანზე აჩრდილი გამოჩნდა. იმ აჩრდილმა ბანის კოჭზე თოკი გამოაბა, მეორე ბოლო სანათურში ჩაუშვა და თვითონაც იმ სანათურში თხუნელასავით ჩაძვრა. ცოტა ხანი გავიდა. იმ მიწურიდან ჯერ ხანგრძლივი ბუტბუტი, მუდარა და „ალლაჰის“ ხსენება მოისმა. მერე სანათურიდან დედაკაცების, ბავშვების და მუსტაფას უიმედო ღრიალი, გმინვა, წივილი, ხრიალი და ღმუილი ამოვარდა. გმინვა და წივილ-კივილი რომ შესწყდა, იმ მიწურიდან გომურში ერთი აჩრდილი გასხლტა. ორი წუთის შემდეგ გომურიდან უბელო ცხენი გრიგალივით გამოვარდა და ლანდი სანდარისკენ გაიტაცა. სოფელში ჟივილ-ყივილი ასტყდა. აქეთ-იქიდან ჰრაქებით გამოვიდნენ, ამბავი გაიგეს, აჩოჩქოლდნენ და აყაყანდნენ, მაგრამ ცხენის თქარა-თქური უკვე მისწყდა და ლანდიც გაქრა.

* * *

მზე უკვე ამოვიდა, როდესაც სისხლში ამოსვრილმა თათარმა აქაფებული ცხენი ორთაჭალის საპყრობილეს კარებს მიაგდო.

—ჰეი, ზმობილო, კარები გააღე!

ასტყდა სირბილი, ჩოჩქოლი და ტელეფონის წკარუნი. ვინ არის, ასე მძლავრად რომ არახუნებს რკინის კარებს და დაჟინებით მოითხოვს შეშვებას?

„აბდულლაჰ, აბდულ ქჲარიმა, თქონი სინანდელი ტუსაღი, რომელიც ზემო ავჭალიდან გაიპარა. გააღეთ კარები, რაღას ასდევინებთ ერთ საათს, რა ამბავია“?

აქვს თუ არა აბდულლას ქაღალდი მთავრობისაგან? რომელი ქაღალდი! რა დროს ქაღალდია! აბდულლამ ხუთი „კასი“ მოჰკლა, ხუთი! აბდულლაჰ პირდაპირ ბორჩალოდან მოდის· აი საბუთიც: აბდულლაჰ სისხლით არის გასვრილი, ქალებისა და ბავშვების სისხლით! აჰა, შეხედეთ! გასინჯეთ!

—გააღე კარები, ზმობილო, გააღე, თორემ სავალ და მერე მეზებეთ.

სანამ ქალაქიდან ბრალმდებელი და გამომძიებელი არ მოვიდნენ, აბდულლაჰ „სიხეში“ არ შეუშვეს. ერთი საათი გაგრძელდა დაკითხვა და ოქმის წერვა. მერე სისხლით გათხუპნული აბდულლაჰ ეზოში გავიდა და შექუჩულ ტუსაღებს შესძახა;

—გამარჟობა, იოლდაშლარ! გამარჟობა, ამხანაგებო! აი, თქონი აბდულლაჰ დაბრუნდა. ეხლა აბდულლაჰ ქძარის ოღლი ყაჩაღია, დიდი ყაჩაღი! ხუთი კასი მოვკალი, ხუთი! —და აბდულლამ ხუთი სისხლიანი თითი აფშიკა.—ერთი კასი მუსტაფა, იმისი ლამაზი სოლი ზეინაბი, იმისი დედა და ორი „ბალაჯა“ ყმასვილი.

სათქმელი ხრიალით სთქვა, თავი ჩაჰლუნა და ბარბაცით თავის საკნისკენ გასწია·

* * *

რამდენმე თვის შემდეგ აბდულლაჰ ისევ იმ დარბაზში იდგა, სადაც სამი წლის წინათ ათი წელიწადი ,,აიკიდა‘‘. დიდი ოთახი ისევ ხალხით იყო სავსე. მაგრამ კუთხეში აღარც კოკოშიანი ზძოვრა იჯდა და არც ცეცხლის-თვალებიანი ფძათმა. მარტოა ეხლა აბდულაჰ, მარტოდ მარტო!

მოსამართლენი ისევ იმ ოთახიდან გამოვიდნენ და ისევ იმ მაგიდას მიუსხდნენ.

— იბდულაჰ ქძარიმ ოღლი! გვიამბეთ თქვენი ამბავი.

აბდულლამ სამ წელიწადში ქართული ხეირიანად ისწავლა. წამოიწია და ხელები მოაჯირზე დააყრდნო. ჯერ შორიდან დაიწყო. მერე უბრალოდ სამი წლის ტანჯვა უამბო და ბოლოს უკანასკნელ ამბავს მიადგა.

— მე ავჭალაში ვმუშაობდი. გაქსევა არ მინდოჯა. სამი თვე დამრჩა. ქალაქში ერთი ზმა-ბიჭი და კარგი ყარდაში მქონდა. ერთხელ იმ ყარდაშმა შემომითვალა: ზმაო აბდულ, შენი საქმე სოფელში ზალიან სუდათ არისო. გულმა ველარ გამიზლო. ვთქვი: სავალ, ხაბარს გავიგებ და მეორე დღესვე დავბრუნდებით მეთქი. საველი, მაგრამ... ალლაჰ, შენ ისი აბდულლას გულის ჟავრი! არს სახლი‘ არს სოლი და არს შვილი. ჩემი სოლი ფძათმა და ჩემი შვილი ვალლი ჩემმა ნოქარმა ალი ყურბანმა მოიტასა და ყაზახში საიყვანა. სოტა საქონელიც მქონდა. ზროხა და კამეჩიც გაჰყიდეს და საიღეს. სახლი მეზობლებმა მოიტასეს. აბდულლას დარჩა შავი ბუხარი, სოტა ქვა და ბევრი სრემლი. დაიღუპა აბდულლაჰ! დაინგრა ჩემი ოჯახი! ვთქვი: აბდულლაჰ ქძარიმ, რად გინდა ეხლა სისოსხლე? ვისთვის უნდა ისხოვრო? ვისთვის უნდა მოისხვიტო სელი? მერე ვთქი: აბდულლაჰ ქძარიმ, ვინ დაღუპა შენი სოლ-შვილი? ვინ დაანგრია შენი ოჯახი? ვინ საგიყვანა სიხეში? შენმა ბიძაშვილმა მუსტაფამ, მუსტაფა ხალილ ოღლიმ! ვთქვი და საველი.

— აბდულლა, სანამ სოჲუნასაგან გაიგებდით თქვენი ოჯახის ამბავს, გქონდათ თუ არა გულში მუსტაფას მოკვლა?

— ღმერთმანი, არა! ვალლაჰ, არ მინდოდა. ზალიან ჟავრი მქონდა, მაგრამ, ვალლაჰ, არ მინდოდა.

— განაგრძეთ.

— როგორ საველი, არ ვისი. თოკი სავიღე და ჩაველი. მუსტაფას ზალიან ეზინა. ზეინაბმა გამოიღვიზა და ჩრაქი აანთო. ვუთხარი: ზეინაბ, თუ დაიყვირე, მუსტაფას მოვკლავ მეთქი. მერე მუსტაფა გავაღვიზე, ყელზე ხანჯალი დავადე და ვთქვი: მუსტაფა, მითხარი, ურუსებს როგორ საართვი საქონელი და შენი ნასვლად აბდულლაჰ როგორ გაგზავნე მეთქი სიხეში? მუსტაფა სთქვა: აბდულლაჰ! შენი მოზვერი ჩონ მოვიპარეთ.

— ვინ ჩვენ? მუსტაფას გარდა ვინ იყვნენ?

— არ ვისი. მუსტაფა არა სთქვა.

— განაგრძეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუსტაფა თქვა: ჩონ ვისოლდით, რომ აბდულლაჰ მოზვერის საძებნელად სავიდოდათ, მერე ჩონ სხენებით მარნეულისკენ სავედით, სამი ურუსი საქონელი და ფული სავართვით და სამოვედითო. სვიმიანი ღამე იყო. მილიცია კვალი მოიტანდათ, ამიტომ მე კვალი ავრიე, შენი სახლში მოვიტანე, სოტა მოტასებული საქონელი შენი სახლში დავაგდე და სავედით.

— იმ რუსებმა თქვენ რაღად დაგადეს ხელი?

— იმიტომ, რომ მე და მუსტაფა ბიძაშვილები ვიყავით. ისე ვგავდით ერთმანეთს, როგორც ორი სვეთი სხალი. ზოგჯერ სოფელშიც მე მუსტაფას მეზახდნენ და მუსტაფას აბდულლას ეზახდნენ.

— მერე, მეოე?

— მერე აბდულლას თავში სისხლი მოეკიდა. მომაგონდა ზჲოვრა. სასხალი დედა ჩემი ქავრით მოკვდა... მომაგონდა ჩემი შვილი ვალლი.,. ჩემი საქონელი და დანგრეული ოჯახი. მომაგონდა და .. მუსტაფას ყელში ხანჯალი მივესი.,.

— მერე? მერე რა მოხდა?

— მერე... არ ვისი, არ მახსოვს.

— მერე მუსტაფას დედა როგორ მოჰკალი?

— არ ვისი.

— მერე მუსტაფას ცოლი.

— არ ვისი... არ მახსოვს...

— ბავშვები? ბავშვები მაინც არ დაინდეთ?

— არ ვისი... ვალლაჰ, არ ვისი, აღარ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს ... ღმერთმანი, არ მახსოვს...

— დაუძახეთ მოწმეს.

მუსტაფას ერთი მოხუცებული ნათესავი ქალი ჰყავდა სახლში. ის ქალი ბნელ კუთხეში წოლილიყო და ისე გადარჩენილიყო, რომ აბდულლას მისი იქ ყოფნა ვერც კი გაეგო· იმ ქალმა აბდულლას ნალაპარაკებიც და მუსტაფას ნათქვამიც დაადასტურა.

— აბდულ ქჲარიმ ოღლი! სთქვით თქვენი უკანასკნელი სიტყვა.

,,იოლდაშებო"! — მოსამართლენო! რა უნდა სთქვას კიდევ აბდულამ? მან თავისი ამბავი გიამბოთ და თვისი წრფელი გული გადაგიშალათ. თქვენ ყველაფერი გაიგეთ და დაინახეთ. დამალული არაფერი აქვს აბდულლას. ეხლა თქონი საქმე თქონ ისით. მაგრამ ბარაქა გამიკეთეთ. აბდულლას სისოსხლე გათავდა. მე სხოვრება არ მინდა. ან სხალში გადამაგდეთ, ან თოფი მესროლეთ, ან თოკით ჩამომკიდეთ. ოღონდ სიხეში ნუღარ ჩამაგდებთ. ვალლაჰ სიხე სხალზე ცუდია! ღმერთმანი სჯობია! იოლდაშებო, ყარდაშებო... ზმებო და ამხანაგებო! მე სიხე არ მინდა! ღმერთმანი, არ მინდა!

და ბორჩალოელი თათარი ერთხელ კიდევ შერცხვა საქვეყნოდ: მოაჯირზე პირქვე დაემხო, მძლავრის გულით მძლავრად აქვითინდა და დასაკლავ ხარივით აბღავლდა:

— სიხე არ მინდა!.. არ მინდა-ა! არ მინდა-ა...

ისევ ისე მოხდა, როგორც სამი წლის წინად: მოსამართლენი გავიდნენ და ოთხი საათის შემდეგ გამოვიდნენ. თავმჯდომარემ გრძელი განაჩენი წაიკითხა:

—...და მიესაჯოს აბდულ ქჲარიმ ოღლის ათი წლით დაპატიმრება. ხოლო რადგან.... და მიიღო რა მხედველობაში რომ... დაადგინა: სასჯელი პირობითად ჩაითვალოს.

აბდულლაჰ წატორტმანდა. ხელები გაასავსავა და ყელგამოჭრილ პირუტყვივით ამოიხრიალა;

— ალლაჰ, ბუ ნა ხაბარდი?.. იოლდაშებო, ეს რა ამბავია?

— აბდულლაჰ ქჲარიმ ოღლი! თავისუფალი ხარ. წადი და იცხოვრე.

ერთ მეხს მეორე მოჰყვა. აბდულლამ ჩაიკეცა. ეს რა სთქვა ,,იოლდაშმა" მოსამართლემ? აბდულლაჰ თავისუფალია?! აბდულაჰ ,,სავიდეს"! მაშ... ,,სიხე"?.. მაშ ,,სიხე" აღარ იქნება?!

— ალლაჰ, ილ ალლაჰ!

აბდულლამ მეორე მეხს ვეღარ გაუძლო და ქვითინს ხარხარი დააყოლა. მერე გრძელი ხელები ფრთებივით გაშალა და დათვივით აბუტბუტდა:

— იოლდაშლა-არ!... ყარდაშლა-არ!.. ზმებო!.· ამხანაგებო! აბდულლაჰ სასხალია... აბდულლა უბრალოა.... იოლდაშებო... ყარდაშებო... მადლობელი... მადლობელი!.. ჩოხ საღოლ, ჩოხ!

**მიხეილ ჯავახიშვილი**

14 თებერვალს 1925 წ.

# მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია



დაიბადა გლეხის ოჯახში ს. წერაქვში, ბორჩალოს მ., 1880 წ. განათლება მიიღო ჯერ ჯელალ-ოღლის სკოლაში, მერე წინამძღვარიანთ კარის და ნიკიტის (ყირიმში) სამეურნეო სკოლებში. 1902-3 წ. სამსახური ალავერდის სპილენძის ქარხანაში. 1903-6 წ. თანამშრომელი „ცნობის ფურცლის" და „ივერიის". გრ. ყიფშიძის დროს დროებითი ფაქტიური რედაქტორი „ივერიის". სამართალში მიცემის გამო ევროპაში გარდაიხვეწა. პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა ხელოვნების და ლიტერატურის ისტორიას და პოლიტიკურ ეკონომიას. 1909 წ. დაბრუნდა ტფილისში. ერთი რედაქტორთაგანი „ეოის" და „საქართველოს მოამბის". 1910-13 წ. მეტეხის ციხე და გაძევება კავკასიიდან. 1911-15 წ. საოლქო ინსპექტორი დამზღვევი საზ-ის. 1916 წ. რედაქციის გამგე გაზ. „საქართველოსი". მერე წითელი ჯვრის სამკურნალოების გამგე, კონტროლიორი, ფრონტეში. მდივანი საქ. სავაჭრო საშრეწველო პალატის. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჯერ უ. ს. საბჭოს ცენ. საწარმოვო-ტეხ. განყ-ის კოლეგიის თავმჯდომარე, შემდეგ ა. კ. საგ. ვაჭ-ის ფინგანყ-ის გამგე, წევრი ეკონომბიუროსი და თავმჯდომარე სალიცენზიო (ექსპორტ-იმპორტის) კომიტეტის.

1003-8 წ. შვიდი მოთხრობა: „ჩანჩურა", „თავდავიწყება", „კურკას ქორწილი", „მეჩექმე გაბო" და სხ. მერე თხუთმეტი წლის დუმილი. 1923 წ. შემოდგომიდან კვლავ დაუბრუნდა ბელეტრისტობას (პირველი მისი მოთხრობები დაიბეჭდა „დროშაში"). დასწერა „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ჯაყოს ხიზნები" და ექვსი სხვა მოზრდილი მოთხრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგონება ლენინზე

ვლადიმერ ილიჩი, მარტოვი და პოტრესოვი უცხოეთში გაემგზავრენ ლეგალური პასპორტებით. მაგრამ ამის და მიუხედავათ გადასწყვიტეს მიუნჰენში ეცხოვრათ სხვისი პასპორტებით, რუსული კოლონიიდან მოშორებით, რომ ამით თავიდან აეშორებინათ რუსეთიდან ჩამოსული ამხანაგების ჩაცვევნა და გაეადვილებინათ არალეგალური ლიტერატურის ჩემოდანებით და წერილებით რუსეთში გადაგზავნა.

როდესაც მიუნჰენში ჩავედი ვლადიმერ ილიჩი იქ ცხოვრობდა მეიერის სახელწოდებით, ჩაუწერლათ, ვინმე რიტმეიერთან. თუმც უკანასკნელს ლუდხანა ჰქონდა, მაგრამ ის სოციალ-დემოკრატი იყო და ვლადიმერ ილიჩს თავის ბინაზე მალავდა. ვლადიმერ ილიჩის გალიისებური ოთახი ცუდი იყო, თვითონ უცოლშვილო კაცივით ცხოვრობდა, სადილობდა ვიღაც გერმანელ ქალთან, რომელიც მას meheespeise-თი მასპინძლობდა. დილა-საღამოობით ჩაის სვამდა თუნუქის ჭურჭლით, რომელსაც თვითონვე მუყაითად რეცხდა და ჩამოკიდებდა ლურსმანზე ონკანის მახლობლათ.

მას შეწუხებული სახე ჰქონდა. არ ეწყობოდა ყველაფერი ისე სწრაფათ, როგორც იყო სასურველი. იმ დროს მიუნჰენში ვლადიმერ ილიჩის გარდა ცხოვრობდენ მარტოვი, პოტრესოვი და ზასულიჩი.

პლეხანოვს და აქსელროდს სურდათ, რომ გაზეთი სადმე შვეიცარიაში გამოსულიყო მათი უშუალო ხელმძღვანელობით. ისინი და პირველ ხანებში ზასულიჩიც, არ აძლევდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას „ი ს კ რ ა ს“, სრულებით ვერ აფასებდენ იმ ორგანიზატორულ როლს, რომელსაც ითამაშებდა ეს გაზეთი და ითამაშა კიდეც. მათ სხვაზე უფრო აინტერესებდა „ზ ა რ ი ა“.

„სისულელეა თქვენი ,,ისკრა‘‘, ამბობდა პირველ ხანებში ხუმრობით ვერა ივანეს ასული. ეს, რასაკვირველია, ხუმრობა იყო, მაგრამ ამ სიტყვებში მთელი საქმის ერთგვარი შეუფასებლობა გამოსჭვივოდა. ვლადიმერ ილიჩი ფიქრობდა, რომ ,,ისკრა‘‘ ემიგრანტულ ცენტრიდან განზე უნდა ყოფილიყო, კონსპირატიულ მდგომარეობაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობის დროს, მიმოწერისათვის, ჩამომსვლელებისათვის. მოხუცები გაზეთის შვეიცარიაში გადუტანლობაში ხედავდენ ჩვენს სურვილს, რათა მათ გაზეთისთვის ხელმძღვანელობა ვერ გაეწიათ და ჩვენ დამოუკიდებელი ხაზი გაგვეტარებინა და არც ჩქარობდენ დახმარების აღმოჩენას. ვლადიმერ ილიჩი ამას გრძნობდა და ნერვიულობდა. ,,შრომის განთავისუფლების‘‘ ჯგუფისადმი ილიჩს განსაკუთრებული გრძნობები ჰქონდა, არაფერს ვიტყვი პლეხანოვის შესახებ, ის სიყვარულით ეპყრობოდა აქსელროდსაც და ზასულიჩსაც. ,,აი ნახავ ვერა ივანეს ასულს,— მითხრა მიუნჰენში ჩემი ჩასვლის პირველ საღამოსვე ვლადიმერ ილიჩმა,—ის უპატიოსნესი ადამიანია‘‘.

,,შრომის განთავისუფლების‘‘ ჯგუფიდან ვერა ზასულიჩი პირველი იყო, რომელიც ,,ისკრას‘‘ დაუახლოვდა. ის ჩვენთან ერთად ცხოვრობდა მიუნჰენსა და ლონდონში, იზიარებდა ,,ისკრის‘‘ რედაქციის ჭირსა და ლხინს, სიხარულსა და გაჭირვებას, ცოცხლობდა რუსეთიდან მიღებული ამბებით.

,,ისკრა‘‘ უკვე ძლიერი ხდება‘‘,—ხუმრობდა ის, იმის და მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა და ფართოვდებოდა გაზეთის გავლენა. ვერა ივანეს ასული მოგვითხრობდა ემიგრაციის დაუსრულებელი და მწუხარე წლების შესახებ. ჩვენ არასოდეს არ გვინახავს ისეთი ემიგრაცია, როგორიც განიცადა ,,შრომის განთავისუფლების‘‘ ჯგუფმა, ჩვენ ყოველთვის გვქონდა რუსეთთან მჭიდრო კავშირი, მუდამჟამს ჩამოდიოდა რუსეთიდან ხალხი. ინფორმაციის საქმე უკეთ გვქონდა მოწყობილი, ვიდრე ესაა რუსეთის რომელიმე საგუბერნიო ქალაქში. გვასულდგმულებდა მხოლოდ რუსეთში მუშაობის საქმე.

რუსეთში კი საქმე უმჯობესდებოდა, მუშათა მოძრაობა იზრდებოდა. „შრომის განთავისუფლების‘‘ ჯგუფი რუსეთზე, მოწყვეტილი იყო. ეს ჯგუფი უცხოეთში იყო რეაქციის უსაშინელეს წლებში,—რუსეთიდან ჩამოსული ერთი სტუდენტიც მათთვის უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო ჩამოსვლა საშიში იყო.

როცა მათთან 90-იან წლების დასაწყისში ჩავიდა კლასონი და კორობკო, ¹) ისინი რუსეთში დაბრუნების უმალ დაიბრეს ჟანდარმთა სამართველოში, ეკითხებოდენ, თუ რატომ ინახულეს პლეხანოვი? თვალყურის დევნება დიდებულათ იყო მოწყობილი. „შრომის განთავისუფლების‘‘ ჯგუფიდან თავს ყველაზე თბლათ ვერა ზასულიჩი გრძნობდა. პლეხანოვსა და აქსელროდს ყოველ შემთხვევაში ოჯახი მაინც ჰქონდა. ვერა ივანეს ასული ხშირად ლაპარაკობდა მარტოობის შესახებ: „ახლობლები არავინ მყავს“. და იმ წამშივე, მწუხარე განცდები, რომ დაეფარა, დაუმატებდა ხუმრობით: „აი, მაგალითად, თქვენ გიყვარვართ, ვიცი, როცა მოვკვდები, ერთი ჭიქა ჩაი ნაკლები დაილევა“.

მასში ოჯახისადმი მიდრეკილება ძლიერ გრძნობას წარმოადგენდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ის უცხოთა შორის გაიზარდა, „აღმზრდელთა“ წრეში. უნდა გეცქირათ, როგორის სიყვარულით ეალერსებოდა ის თეთრ ბავშვს, დიმკას (პ. გ. სმიდოვიჩის) შვილს. სამეურნეო მომჭირნეობასაც კი იჩენდა, ვერა ივანეს ასული, ანგარიშით ყიდულობდა სანოვაგეს იმ დღეებში, როდესაც კომუნაში სადილის მომზადების რიგი მოუწევდა (ლონდონში ვერას, მარტოვს და აქსელროდს კომუნა ჰქონდათ). ყოველ შემთხვევაში, არავინ ფიქრობდა ვერა ივანეს ასულის მიდრეკილებაზე ოჯახისა და მეურნეობისადმი. ის ნიჰილისტურად ცხოვრობდა, იცვამდა უსუფთაოთ, ეწეოდა აბევრს თამბაქოს, მის ოთახში დიდი უწესრიგობა სუფევდა, ოთახის დასუფთავების უფლებას არავის აძლევდა. იკვებებოდა ფანტასტიურათ. მახსოვს ერთხელ „კეროსინკაზე“ ამზადებდა ხორცს, ჰრიდა ნაჭრებს მაკრატლით და სჭამდა.

„როდესაც ვცხოვრობდი პარიზში,—მოგვითხრობდა ვერა,—ინგლისელმა ქალებმა მოინდომეს ჩემი გართობა საუბრით: „რამდენხანს სწვავთ ხორცს?“ მე ვუპასუხებდი: როგორც შემხვდება, თუ ძალიან მშია, ათ წუთსაც ვაკმარებ, თუ მაძღარი ვარ—სამი საათიც ცოტაა“. ამის შემდეგ თავი დამანებეს.

როდესაც ვერა ივანეს ასული სწერდა, ის ჩაიკეტებოდა ოთახში და მხოლოდ მაგარი შავი კოფეთი იკვებებოდა.

---

¹) პიტერელი სტუდენტი — ტექნოლოგი.

რუსეთზე ვერა ივანეს ასული ბევრს ფიქრობდა და დარდობდა. ვგონებ, 98 წელში ის არალეგალურად ჩავიდა რუსეთში, არა სამუშაოთ, არამედ სანახავათ. „გლეხი მაინც ვნახო, როგორი გაუხდა ცხვირი" და როდესაც „ისკრა" გამოვიდა, ის გრძნობდა, რომ იქ შეიძლებოდა რუსული მუშაობის წარმოება. ის მთელი არსებით ებმებოდა მუშაობაში. მისთვის „ისკრის" მუშაობიდან ჩამოცილება ნიშნავდა რუსეთიდან ჩამოცილებას და უფსკრულისაკენ დაქანებულ ემიგრაციაში ლპობას.

როდესაც მეორე ყრილობაზე „ისკრის" რედაქციის შესახებ დააყენეს საკითხი, ვერა აღშფოთდა, ეს მისთვის არა მარტო თავმოყვარეობის, არამედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო.

ხუთ წელში ის გაემგზავრა რუსეთში და იქ დარჩა

მეორე ყრილობაზე ვერა ივანეს ასულმა თავის სიცოცხლეში პირველად გაილაშქრა პლეხანოვის წინააღმდეგ. პლეხანოვთან მას აკავშირებდა მრავალი წლის განმავლობაში საერთო მუშაობა, ის ხედავდა, რომ რევოლიუციური მოძრაობის მიმართულებისათვის სწორე კალაპოტის მიცემაში პლეხანოვი უდიდეს როლს თამაშობდა, აფასებდა მას, აფასებდა მის გონებას, ბრწყინვალე ნიჭს. პლეხანოვთან სულ უმნიშვნელო უთანხმოება აღელვებდა მას, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერა ივანეს ასული არ გაყვა პლეხანოვს.

პლეხანოვის ბედი ტრაგიულია. თეორიაში მისი დამსახურება მუშათა მოძრაობის წინაშე განუზომლათ დიადია, მაგრამ ემიგრაციის წლებს მისთვის უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ემიგრაციამ ის მოსწყვიტა რუსეთის სინამდვილეს. ფართო მასიური მუშათა მოძრაობა მაშინ დაიწყო, როდესაც ის საზღვარ-გარეთ იყო. ის ნახულობდა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს, მწერლებს, სტუდენტებს, ცალკე მუშაკებსაც კი, მაგრამ რუსეთის მუშათა მასა მას არ უნახავს, მასთან არ უმუშავნია, მას ის ვერ გრძნობდა. იყო შემთხვევები, რომ მივიღებდით რუსეთიდან რამე კორე'პონდენციას, რომელიც გვიშუქებდა მოძრაობის ახალ ფორმებს, გვაგრძნობინებდა მოძრაობის პერსპექტივას, ასეთ კორესპონდენციებს ვლადიმერ ილიჩი მარტოვი და ვერა ივანეს ასულიც ხარბათ კითხულობდენ, ამის შემდეგ ვლადიმირ ილიჩი დიდხანს ბოლთასა სცემდა ოთახში, ღამე ვერ დაიძინებდა. როდესაც ჩვენ გადავედით ჟენევაში, შევეცადე მეჩვენებინა პლეხანოვისათვის კორესპონდენციები და წერილები. და მაოცებდა პლეხანოვის საქციელი, მას თითქოს ფეხებ ქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, სახეზე უნდობლობა ეხატებოდა და შემდეგ ამ წერილზე არასდროს კრინტს არ ძრავდა.

განსაკუთრებით უნდობლობით ეპყრობოდა ის რუსეთიდან მიღებულ წერილებს მეორე ყრილობის შემდეგ.

პირველად ამას შეურაცხყოფად ვთვლიდი. შემდეგ მივხდი, თუ ასე რატომ ხდებოდა. ის დიდიხნის წამოსული იყო რუსეთიდან, მას არ ქონდა ის საზომი, რომელსაც გამოცდილება იძლევა და რომელიც თვითეული კორესპონდენციის ხვედრითი წონის გაგებისა და სტრიქონებს შორის აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას იძლევა.

ჩამოდიოდენ ხშირად „ისკრის" რედაქციაში მუშები. ყოველ მათგანს, რასაკვირველია, უნდოდა პლეხანოვის ნახვა. პლეხანოვის ნახვა მრავალჯერ უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჩვენი და მარტოვის, მაგრამ მუშას პლეხანოვი რომ ენახა, ის უკან რაღაც გამოურკვეველი შთაბეჭდილებით ბრუნდებოდა, მას აოცებდა პლეხანოვის ბრწყინვალე გონება, მისი ცოდნა, გონებამახვილობა, მაგრამ ხდებოდა ისე, რომ მუშა პლეხანოვს შემდეგ გრძნობდა ამ დიდ თეორეტიკოსსა და თავის თავს შორის უდიდეს მანძილს და რატომღაც ყველაფრის თქმას ვერ ასწრებდა, ვერაფერს ამბობდა იმ ძვირფას საგანზე, რაზედაც ჩამოსული იყო.

როდესაც მუშა არ დაეთანხმებოდა პლეხანოვს და და დაუწყებდა კამათს, პლეხანოვი აღელდებოდა.

ალბათ ემიგრაციის პირველ ხანებში ასე არ იქნებოდა, მაგრამ 900-ან წლების დასაწყისში პლეხანოვს არ ქონდა რუსეთის შეგრძნობა. 1905 წ. ის არ ჩამოსულა რუსეთში.

პავლე ბორისის-ძე აქსელროდი პლეხანოვსა და ვერა ზასულიჩზე უკეთესი ორგანიზატორი იყო. მას ქონდა დავალებული ჩამომსვლელებთან კავშირი, ჩამოსულები მასთან მეტს დროს ატარებდნენ, მათ იქ ასმევდენ და აჭმევდენ, პავლე ბორისის-ძე მათ ყველაფერს დაწვრილებით გამოკითხავდა.

ის აწარმოებდა რუსეთთან მიმოწერას, იცოდა კონსპირაციის მეთოდები. თუ როგორ გრძნობდა თავს ემიგრაციაში მრავალ წლების განმავლობაში რუსი ორგანიზატორი რევოლიუციონერი, ამის წარმოდგენა მხოლოდ შეიძლება. პავლე ბორისის-ძემ შრომის უნარის სამი მეოთხედი დაკარგა, მას მთელი ღამები არ ეძინა, თვეების განმავლობაში ენერგიის უჩვეულო დაჭიმვით სწერდა, ვინაიდან ვერ ახერხებდა წერილის დამთავრებას, ისე გაურკვეველი ხელი ქონდა, რომ მისი ნაწერის წაკითხვა შეუძლებელი იყო. ის ნერვიულათ წერდა.

ვლადიმერ ილიჩზე აქსელროდის ხელი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ,,აი მიხვალ კაცი აქსელროდის მდგომარეობამდე. ეს ხომ საშინელებაა'', მრავალჯერ უთქვამს ვლადიმერ ილიჩს. აქსელროდის ხელის შესახებ მას საუბარი ქონდა ექიმ კრამერთან, რომელიც აქსელროდს წამლობდა უკანასკნელი ავადმყოფობის დროს. როდესაც ვლადიმერ ილიჩმა პირველად იმგზავრა უცხოეთში, ორგანიზაციულ საკითხებზე უმეტესად მსჯელობდა აქსელროდთან. როდესაც მეც ჩავედი მიუნჰენში, ილიჩი ბევრს მომითხრობდა აქსელროდის შესახებ. თუ რას აკეთებდა ახლა აქსელროდი ვლადიმერ ილიჩი მეკითხებოდა გაზეთში აქსელროდის გვარზე მითითებით, ვინაიდან ილიჩს არა თუ წერა, არამედ მეტყველების უნარიც დაკარგული ქონდა.

პ. აქსელროდი განსაკუთრებით მტკივნეულათ განიცდიდა იმ გარემოებას, რომ ,,ისკრა'' არ გამოდიოდა შვეიცარიაში და რუსეთთან ურთიერთობა მისი საშვალებით არ ხდებოდა. ამიტომ გახელებული ლაპარაკობდა ის მეორე ყრილობაზე სარედაქციო სამეულის შესახებ. როგორ ,,ისკრა'' უნდა იყვეს საორგანიზაციო ცენტრი და ის კი ჩამოშორებული იქნება რედაქციას! ეს მაშინ, როდესაც მეორე ყრილობაზე უფრო ძლიერათ, ვიდრე ოდესმე, გრძნობდნენ რუსეთს.

როდესაც ჩავედი მიუნჰენში, მაშინ იქ ,,შრომის განთავისუფლების'' ჯგუფიდან მხოლოდ ვერა ზასულიჩი ცხოვრობდა ბულგარელის პასპორტით, მას ეძახდნენ ნინა დიმიტრის ასულს.

ბულგარული პასპორტებით უნდა ეცხოვრათ სხვებსაც. ჩემს ჩასვლამდე ვლადიმერ ილიჩი უპასპორტოთ ცხოვრობდა. როდესაც ჩავედი, მისთვის ვიღაც ბულგარელის,

ექიმ იორდანოვის, პასპორტი ავიღეთ, ჩავეწერე მეც მარიცის სახელით და დავიჭირეთ ერთი ოთახი მუშის ოჯახში. ჩემამდე ,,ისკრის“ მდივანი იყო ინა სმიდოვიჩლემანი, რომელიც აგრეთვე ბულგარული პასპორტით ცხოვრობდა, ,,დიმკას“ გვარით. ვლადიმერ ილიჩმა ჩემს ჩასვლისას მითხრა: რომ მან გამიყვანა მე რედაქციის მდივნად. ეს, რასაკვირველია, ნიშნავდა იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობა ვლადიმერ ილიჩის კონტროლს ქვეშ იქნებოდა. მარტოვსა და პოტრესოვს მაშინ არაფერი ქონდათ ამის წინააღმდეგ, ხოლო ,,შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს საკუთარი კანდიდატი არ ყავდა, არც ,,ისკრას“ აძლევდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. დიდძალი სამუშაო გაჩნდა. საქმე ასე იყო მოწყობილი: რუსეთიდან წერილები მოდიოდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გერმანელ მუშების სახელზე, ისინი კი ყველაფერს უგზავნიდენ გერმანელ სოც.-დემოკრატს ექიმ ნემანს, რომელიც შემდეგ ჩვენ გვიგზავნიდა.

ამაზე წინ ადგილი ქონდა შემდეგს დიდ ისტორიას: რუსეთში დაბოლოს მოხერხდა ბროშურების დასაბეჭდათ არალეგალური სტამბის დაარსება კიშინიოვში, რომლის გამგემ აკიმმა (ლიბერის ძმა—გოლდმანი) გადმოგვიგზავნა ლემანის სახელზე ბალიში, რომელშიაც ჩაწყობილი იყო გამოცემული ბროშურების ეგზემპლიარები. გაკვირვებულმა ლემანმა პოსტაში უარი განაცხადა ბალიშის მიღებაზე, როდესაც ჩვენ ეს გავიგეთ, ძალიან შევწუხდით, ლემანმა შემდეგ შესძლო ბალიშის მიღება და იოხუნჯა, ყველაფერს მივიღებ, თუ გინდ მთელი მატარებელი გამომიგზავნონო.

„ისკრის“ რუსეთში გადასაგზავნათ ტრანსპორტი ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი. „ისკრა“ იგზავნებოდა უმთავრესათ ორმაგ ძირიან ჩემოდანებით, სხვადასხვა თანამგზავრების ხელით, რომელთაც გადაქონდათ რუხეთში ეს ჩემოდანები და გადასცემდენ ორგანიზაციიდან გამოცხადებულ კაცს დანიშნულ ადგილს.

ასეთი გამოცხადების ადგილი იყო პსკოვში ლეპეშინსკებთან, კიევში, და კიდევ სხვაგან. რუსი ამხანაგები ლიტერატურას გადასცემდენ ორგანიზაციას. ტრანსპორტი ის-ის იყო ეწყობოდა ლატვიელ ამხანაგების როლაუსა და სკუბიკის საშუალებით.

ამ საქმისათვის დიდი დრო გვეკარგებოდა. აგრეთვე ხანდახან მოლაპარაკებაც დიდ დროს გვართმევდა; რომლიდანაც ხშირად არაფერიც გამოდიოდა.

მახსოვს კვირაზე მეტი დავკარგეთ ერთ ტიპთან მოლაპარაკებაზე, რომელსაც კავშირი უნდა დაეჭირა კონტრაბანდისტებთან საზღვარზე ფოტოგრაფიული აპარატით მოგზაურობის დროს. ხოლო აპარატი ჩვენ უნდა გვეყიდა.

გვქონდა მიმოწერა „ისკრის“ აგენტებთან ბერლინში, პარიზში, შვეიცარიასა და ბელგიაში. ისინი, რითაც შეეძლოთ, გვეხმარებოდენ, გვაძლევდნენ მისამართებს.



ჰიდრო-ელ· სადგურების კომისია ცენტრში კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. კიკნაძე.

თანამგრძნობთა ჯგუფიდან 1901 წ. ოქტომბერში დაარსდა “რუსეთის რევოლიციური სოციალ-დემოკრატიის უცხოეთის ლიგა“.

რუსეთთან კავშირი სწრაფათ იზრდებოდა. „ისკრის“ ერთი აქტიური კორესპონდენტი უყო პიტერელი მუშა ბაბუშკინი, რომელიც ვლადიმერ ილიჩმა ნახა რუსეთიდან წამოსვლის წინ და მოელაპარაკა კორესპონდენციის მოწყობის შესახებ. ის გვიგზავნიდა დიდძალ კორესპონდენციებს ორეხოვო-ზუევიდან, ვლადიმირიდან, გუსიახრუსტალიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, კოხმიდან, კინეშმიდან და სხ. ადგილებიდან.

ის ხშირად ნახულობდა ამ ადგილებს და აძლიერებდა მათთან კავშირს. გვწერდენ პიტერიდან, მოსკოვიდან, ურალიდან, სამხრეთიდან. ვაწარმოებდით მიმოწერას ჩრდილოეთ კავშირთან. მალე ჩამოვიდა ივანოვო-ვოზნესენსკიდან კავშირის წარმომადგენელი ნოსკოვი [1]). ნოსკოვი რუსის ნამდვილ ტიპს წარმოადგენდა. ცისფერი ქერა სახე, „ო“ებით ლაპარაკობდა. უცხოეთში წამოვიდა ჩვენთან მოსალაპარაკებლად. სამგზავრო ფული მისცა ბიძამ,

[1]) ვ ა. ნოსკოვი „ისკრის“ რედაქციის მიმოწერაში ხშირად იხსენებდა ბორის ნიკოლოზის ძის (გლებოვის) სახელწოდებით.

ივანო-ვოზნესენსკის წვრილმა ფაბრიკანტმა, რომ თავიდან მოეშორებინა მშფოთვარე ძმისწული, რომელსაც პოლიცია დასდევდა და ხშირათ ჩხრეკდა. ბორის ნიკოლოზის ძე (ნამდვილად კი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე) კარგი პრაქტიკოსი იყო. მას ჯერ კიდევ უფაში შევხდი, სადაც გამოიარა ეკატერინენბურგში მიმავალმა. ის საზღვარ-გარეთ ჩამოვიდა „კავშირისთვის“. კავშირის მონახვა მისი პროფესია იყო. მახსოვს, თუ როგორი გაბრწყინებული თვალებით გვიყვებოდა ჩრდილოეთის კავშირის მუშაობის შესახებ ის ჩვენ სამზარეულოში, მოგვითხრობდა საშინლათ გატაცებული. ხოლო ვლადიმერ ილიჩი თავის შეკითხვებით ასკეცებდა მის გატაცებას, ბორისმა,—სანამ საზღვარ-გარეთ ცხოვრობდა, რვეული შჩინის სუნი სდიოდა. ის ლაპარაკობდა, რომ რენეგატად მთვლიანო, და თავის თავს დასცინოდა. ახლა აღარ მახსოვს ჩვენი საუბრის დეტალები, მაგრამ მახსოვს, თუ როგორი მძიმე გრძნობით წამოვედი ამ შეხვედრიდან. ცხადი იყო, რომ ის უცხო იყო ჩვენთვის, მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნოდა. ვლადიმერ ილიჩი მართალი იყო. შემდეგ, არ მახსოვს ვისი ხელით, სტრუვეს ცოლმა, ნინა დიმიტრის ასულმა სალამი და ერთი კოლოფი მარმალადი გამოგვიგზავნა. ის ულონო იყო, მაგრამ არც კი ესმოდა, თუ სად მიექანებოდა მისი ქმარი. სტრუვეს კი მშვენივრათ ესმოდა.

ჩემი ჩასვლის შემდეგ ჩვენ დავსახლდით გერმანელ ქალთან. ყველა ისინი ცხოვრობდენ სამზარეულოში და




ადგილი ჰიდრო-ელ. სადგურისათვის,

გააჩინა, სადაც სწერდა მისამართებს, ვინ სად ცხოვრობს, რას აკეთებს, როგორ შეიძლება მისი გამოყენება. შემდეგ ჩვენც დაგვიტოვა ეს „კავშირი“. ის იყო თავისებური პოეტი—ორგანიზატორი. მაგრამ მას უყვარდა ადამიანებისა და მუშაობის იდეალიზაცია, არ შეეძლო სინამდვილისათვის უშიშრათ შეხედვა. მეორე ყრილობის შემდეგ ის გახდა ოპორტუნისტი და პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა. რეაქციის დროს თავი მოიკლა.

მიუნჰენში სხვებიც ჩამოდიოდენ. ჩემს ჩასვლამდე იუნჰენში იქ სტრუვე ყოფილიყო. მასთან უკვე ამ დროს განხეთქილება ხდებოდა. ის ამ დროს სოციალ-დემოკრატიის ბანაკიდან ლიბერალების ბანაკში გადადიოდა. მისი უკანასკნელ ჩამოსვლის დროს ადგილი ქონდა მწვავე შეტაკებას. ვერა ივანეს ასულმა ის „დაჭედილი ხბოს“ სახელით მონათლა. ვლადიმერ ილიჩმა და პლეხანოვმა მას ჯვარი დაუსვეს. ვერა ივანეს ასული ფიქრობდა, რომ საქმე ჯერ უიმედო არაა. ამიტომ მასა და პოტრესოვს ხუმრობით ეძახდენ: struve freundige Partei“[1])

როდესაც მე უკვე მიუნჰენში ვიყავი, სტრუვე მეორეჯერ ჩამოვიდა. ვლადიმერ ილიჩმა უარი განაცხადა მის ნახვაზე. მე ვნახე იგი ვერა ივანეს ასულის ბინაზე. ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ამ ნახვამ. სტრუვე ძალიან შეურაცხყოფილათ გრძნობდა თავს მას დოსტოევ-

[1]) სტრუვეს მეგობრული პარტია.

პატარა ოთახში. მაგრამ სისუფთავე არაჩვეულებრივი იყო, ბავშვები სუფთა დაზრდილნი იყვნენ მე გადავწყვიტე, სადილი შინ დამემზადებინა და დავიწყე მეოჯახეობამ სადილი უნდა დამემზადებინა დიასახლისის სამზარეულოში, მაგრამ ყველაფრის მზადება ჩემს ოთახში მიხდებოდა. ვცდილობდი სიწყნარე დამეცვა, ვინაიდან ვლადიმერ ილიჩმა მაშინ დაიწყო „Что делать“-ის წერა. როდესაც სწერდა, ჩვეულებად ქონდა, კუთხიდან კუთხემდე ევლო და ჩურჩულით იმეორებდა იმას, რაც უნდა დაეწერა. ამ დროისთვის უკვე შევეჩვიე მისი წერის მანერას. როდესაც ის სწერდა, მას არაფერს არ ვკითხავდი და საერთოდ მასთან მუსაიფს თავს ვარიდებდი. შემდეგ, გასეირნების დროს, ის მეუბნებოდა, რომ ის სწერს მას, რაზედაც ფიქრობს. ეს წერის დროს მას ისეთ მოთხოვნილებად გადაექცა, როგორც ჩურჩულით წერილის გამეორება, ვიდრე რასმე დასწერდა.

მუნჰენის მიდამოებში ძალიან ბეჯითად ვხეტიალობდით, ადგილებს განმარტოებით ვირჩევდით, სადაც ხალხი ცოტა იქნებოდა.

ერთი თვის შემდეგ გადავსახლდით მიუნჰენის განაპირა უბნის ახლად-აგებულ მრავალ-მდგმურიან შენობაში,

შევიძინეთ ოთახის „მოწყობილობა“ (გამგზავრების წინ 12 მარკად გავყიდეთ) და ჩვენებური ცხოვრება დავიწყეთ.

პირველ საათის დასაწყისში—სადილის შემდეგ მოდიოდა მარტოვი,—შემდეგ კიდევ სხვები, ამგვარათ „რედაქციის“ სხდომა იმართებოდა. მარტოვი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა, ამასთანავე თემებს ხშირად იცვლიდა. ის ბევრს კითხულობდა, საიდანაც დიდძალ ახალ ცოდნას იძენდა იცოდა ბევრი რამ. „მარტოვი ტიპიური ჟურნალისტია—მეუბნებოდა ვლადიმერ ილიჩი - ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ყველაფერს ზერელეთ ითვისებს, მალე ემორჩილება შთაბეჭდილებებს და ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას იჩენს“. „ისკრისთვის“ მარტოვი უბადლო იყო. ვლადიმერ ილიჩი ძალიან იღლებოდა ამ 5 – 6 საათიან საუბრებით, ამის შემდეგ სრულებით ავათ ხდებოდა, შრომის უნარიანობა ეკარგებოდა. ვლადიმერ ილიჩმა მთხოვა მარტოვთან მისულიყავი და მეთხოვა, საერთო მუშაობას ქონდა ადგილი. პლეხანოვი კი მშვენიერ გუნებაზე იყო, ვინაიდან მოწინაალმდეგე, რომელთანაც მან ამდენი ბრძოლა გადიხადა, გაცამტვერებული იყო. პლეხანოვი მხიარულობდა და ლაპარაკის დიდ ხალისს იჩენდა.

ვცხოვრობდით ერთ სასტუმროში, ერთად ვჭამდით და ვსვამდით, და დროც შეუმჩნევლათ გადიოდა.

მხოლოდ ხანდისხან იჩენდა თავს აზრთა სხვადასხვაობა ზოგიერთი საკითხისადმი მიდგომაში.

ერთი საუბარი დამამახსოვრდა. კაფეში სადაც ჩვენ ვისხედით, ჩვენი ოთახის გვერდით იყო სატანვარჯიშო დარბაზი, სადაც ფარიკაობდენ მუშები, მუყაოს მუზარადებში ჩასხმულნი, ერთი-მეორეს მუყაოს ხმლებით ებრძოდენ. პლეხანოვმა გაიცინა: „აი მომავალ საზოგადოებაში



ჰიდრო-ელ. სადგურის ტიპი ევროპაში.

რომ მას ჩვენთან არ ევლო. შევთანხმდით, რომ მე მარტოვთან მევლო, გამეცნო მისთვის მიღებული წერილების შინაარსი. აქედან მაინც არაფერი გამოვიდა. ორი დღის შემდეგ დაიწყო ისევ ძველი ამბავი. ჩვენს შემდეგ მარტოვი, ვერა ივანეს ასულთან, დიმკასთან და ბლიუმენფელდთან ერთად მიდიოდენ კაფეში, სადაც ისინი მთელი საათობით რჩებოდენ.

შემდეგ ჩამოვიდა დანი ცოლშვილით. მარტოვი მათთან მთელ დღეებს ატარებდა.

ოქტომბერში ყველა წავედით ციურიხში, რათა გავერთიანებულიყავით „რაბოჩეე დელოსთან“. გაერთიანება ვერ მოხდა. აკიმოვმა, კრიჩევსკმა და სხვებმა სულელური პირობები წამოგვიყენეს. მარტოვი საშინლათ ღელავდა, ილაშქრებდა რა „რაბოჩედელცების“ წინაალმდეგ, თითქმის გალსტუკი ჩამოიგლიჯა, პირველათ ვნახე ის ასეთ მდგომარეობაში. პლეხანოვი ენამახვილობდა. გაერთიანების შეუძლებლობის შესახებ რეზოლიუცია შეადგინეს, გაშეშებული ხმით წაიკითხა დანმა რეზოლიუცია. „პაპის ნუნცი“ მიაძახეს მოწინაალმდეგებმა.

ეს განხეთქილება უმტკივნეულოთ ჩატარდა. მარტოვი, ლენინი არ მუშაობდენ „რაბოჩეე დელოში“. განხეთქილებას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მანამდე არც ასე ვიბრძოლებთ“, როდესაც შინ ვბრუნდებოდით აქსელროდმა გზაზე ჩამოაგდო ლაპარაკი პლეხანოვის თემაზე: მომავალ საზოგადოებაში დიდი მოწყენა გვექნება, არავითარ ბრძოლას ადგილი არ ექნება“.

იმ დროს არაჩვეულებრივათ მორცხვი ვიყავი და არაფერი ვუპასუხე. თუმც ვგრძნობდი. ეს სასაცილო იყო, და ერთგვარი შეურაცხყოფაც ვიგრძენი.

ციურიხიდან დაბრუნების შემდეგ ვლადიმერ ილიჩი ჩაუჯდა „что делать“-ის დასამთავრებლად. შემდეგ მენშევიკები თავს ესხმოდენ „что делать“-ს. მაგრამ იმ დროს ამ წიგნმა ყველა გაიტაცა, განსაკუთრებით ისინი, ვინც ახლო იდგენ რუსულ მუშაობასთან. მთელი ბროშურა იყო მხურვალე მოწოდება შეკავშირებისთვის, ის იძლეოდა მუშაობის ფართო გეგმას, სადაც ყველას შეეძლო ადგილი მოენახა, ყველას შეეძლო რევოლიუციის მანქანაში ყოფილიყო ხრახნი, რომელიც საჭიროა მუშაობისთვის, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ეს მუშაობა. ბროშურა მოუწოდებდა თავდადებულ, შეუწყვეტელ ბრძოლისაკენ იმ ბაზისის შესაქმნელად, რომელიც აუცილებელი იყო იმისთვის, რათა მაშინდელ პირობებში პარტიას ეარსებინა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. სოციალ-დემოკრატს არ უნდა ეშინოდეს ხანგრძლივი მუშაო-

ზის, უნდა ვიმუშაოთ; ვიმუშაოთ „შეუსვენებლივ,“ ყველაფრისთვის მზათ უნდა ვიყოთ, დაწყებული „პარტიის ღირსების, პრესტიჟის და თან მიმდევნობის“ გადარჩენიდან რევოლიუციონური „ჩაგვრის“ უძნელეს მომენტში და გათავებული მომზადებით, დანიშვნით და სახალხო შეიარაღებული „აჯანყების“ განხორციელებით“, წერდა ვლადიმერ ილიჩი ბროშურაში „что делать“.



ჰიდრო-ელ. სადგურის ტიპი ევროპაში.

ოცდა ორმა წელმა განვლო ამ ბროშურის დაწერის შემდეგ, და რაღაც ოცდა ორი წლის განმავლობაში ძირეულათ შეიცვალა პარტიის მუშაობის ყველა პირობა დღეს მუშათა მოძრაობის წინაშე სულ სხვა ამოცანები, დგას, მაგრამ დღესაც გვაფრთოვანებს ამ ბროშურის რევოლიუციური პათოსი, დღესაც უნდა შეისწავლოს ეს ბროშურა მან, ვისაც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც უნდა ლენინელი იყოს.

თუ „ხალხის მეგობრებს“ უდიდესი მნიშვნელობა ქონდათ რევოლიუციური მოძრაობისთვის გზების გამონახვის საქმეში, ბროშურა „что делать?“, კი იძლევოდა ფართო რევოლიუციური მუშაობის გეგმას და აგრეთვე გარკვეულ საქმეს.

ცხადი იყო, რომ პარტიის ყრილობის მოწვევისთვის ჯერ დრო არ იყო დამდგარი, ჯერ ამისთვის არ იყო წინამძღვრები, რათა ის პირველ ყრილობასავით უდღეური არ ყოფილიყო; ცხადი იყო, რომ საჭიროა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა. ამიტომაც ბუნდის მიერ ბელოსტოკის ყრილობის მოწვევის ცდას სერიოზულათ არავინ მოჰყრობია. „ისკრიდან“ ყრილობაზე წავიდა დანი, რომლითაც მალულათ მიქონდა „что делать?“. ბელოსტოკის ყრილობა კონფერენციად გადაიქცა.

„ისკრა“ თავგამოდებული მუშაობდა. მისი გავლენა იზრდებოდა. ყრილობისთვის პარტიის პროგრამა მზადდებოდა. პროგრამის გამომუშავებაში მონაწილეობის მისაღებად მიუნჰენში პლეხანოვი და აქსელროდი ჩამოვიდენ. ლენინი ილაშქრებდა პლეხანოვის მიერ გამომუშავებული პროგრამის პროექტის ზოგიერთი ადგილის წინააღმდეგ. ვერა ივანეს ასული ყველაფერში არ ეთანხმებოდა ლენინს. მაგრამ ყველაფერში არც პლეხანოვს ეთანხმებოდა აქსელროდი ზოგ რასმეში ლენინს ეთანხმებოდა.

სხდომის ატმოსფერა დამძიმებული იყო. ვერა ივანეს ასული შეეცადა პლეხანოვს შეკამათებოდა, მაგრამ პლეხანოვმა მიუვალი სახე მიიღო და ხელებ გადაჭდობილი უცქეროდა ზასულიჩს. ვერა ივანეს ასული სრულებით აირია. საქმე კენჭისყრამდე მივიდა. კენჭის ყრის წინ აქსელროდმა, რომელიც ამ საკითხში ლენინს ეთანხმებოდა, განაცხადა, რომ მას თავი ეტკინა და სურს ჰაერზე გასეირნება.

ვლადიმერ ილიჩი საშინლათ ღელავდა: „ასე არ შეიძლება მუშაობა. ასეთ პირობებში საქმიანი მსჯელობა შეუძლებელია“.

მთელი თავის სიმწვავით დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია მუშაობისთვის გამოინახოს საქმიანი საფუძვლები. ის რომ პირად ელემეტს ადგილი არ ქონდეს, რომ გადაწყვეტილებზე კაპრიზებსა და „ისტორიულათ გამომუშავებულ პირად ურთიერთობას გავლენა არ მოახდინოს.

ვლადიმერ ილიჩი მტკივნეულათ განიცდიდა პლეხანვთან ყოველგვარ უთანხმოებას, არ ეძინებოდა, ნერვიულობდა. პლეხანოვი კი ბრაზობდა, გულისობდა.

პლეხანოვმა ვლადიმერ ილიჩის წერილი „ზარიას“ მე 4-ე ნუმრისთვის წაკითხვის შემდეგ გაუბრუნა ვერა ივანეს ასულს კიდურზე შენიშვნებით, რომელშიც გადმონთხეული იყო შხამი. ვლადიმერ ილიჩმა შენიშვნების წაკითხვის შემდეგ დაკარგა წონასწორობა. [1])

ამ დროს გამოირკვა (1902 წ.), რომ „ისკრას“ მიუნენში ბეჭვდის გაგრძელება შეუძლებელია, სტამბის პატრონს არ უნდოდა ხიფათში ჩაეგდო თავი. საჭირო იყო ადგილის შეცვლა. სად წავიდეთ? პლეხანოვი და აქსელროდი მხარს უჭერდენ შვეიცარიას, სხვები კი, რომლებიც იცნობდენ ატმოსფერას, შექმნილს პროგრამის გამომუშავებისთვის მოწვეულ სხდომაზე, ლონდონის მომხრენი იყვნენ.

დავიწყეთ მზადება.

შემდეგ მიუნჰენის პერიოდს ვიგონებდით, როგორც ბრწყინვალე პერიოდს. ემიგრაციის შემდეგი წლები მრავალგზით მძიმე იყო. მიუნჰენის პერიოდში არ იყო ისეთი ღრმა განხეთქილება აქსელროდსა, ვერა ზასულიჩსა, დოტრესოვსა და ვლადიმერ ილიჩს შორის. ყველა ძალები თავს იყრიდა ერთს საქმის, რუსული გაზეთის შექმნის გარშემო, ინტენსიურათ ხდებოდა ძალების შეგროვება „ისკრის“ გარშემო და ყველა გრძნობდა ძალების ზრდას.

ყველას ქონდა იმის შეგნება, რომ პარტიის შექმნის გზა სწორეა.

ამიტომ ყველას გვქონდა სიხარულის უფლება, შესაძლებელიც იყო საერთო მხიარული სულიერი განწყობილება, რომელსაც მართლაც ქონდა ადგილი ჩვენი ციურიხში გამგზავრებისას.

ადგილობრივი ცხოვრება ჩვენს ყურადღებას არ იპყრობდა. ჩვენ მას შორიდან ვადევნებდით თვალყურს.

[1]) ლაპარაკია ვლად. ილიჩის წერილზე „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდისხან სხდომებს ვესწრებოდით, მაგრამ საერთოდ, სხდომები საინტერესო არ იყო. მახსოვს პირველი მაისის დღესასწაული (1901 წ. 1 მაისი, **რედ.**). ამ წელს გერმანელ სოციალ-დემოკრატიას პირველათ მისცეს პირველმაისობის გამართვის ნება, მაგრამ ქალაქში კი არა, არამედ ქალაქს გარეთ.

გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ცოლებით და ბავშვებით სწრაფი ნაბიჯით გაიარეს ქალაქი, რომ ქალაქს გარეთ რესტორანში ესვათ ლუდი. ესMaifeier [1]) არ მოგვაგონებდა დემონსტრაციას მუშათა კლასის მთელ მსოფლიოში გამარჯვებისთვის.

ისე ვიცავდით კონსპირაციას, რომ გერმანელ ამხანაგებსაც არ ვხვდებოდით. ვნახულობდით მხოლოდ პარვუსს, რომელიც ცხოვრობდა შვაბინგზე ცოტა მოშორებით ცოლით და პატარა შვილით ერთხელ მასთან ჩამოვიდა როზა ლიუქსემბურგი და ვლადიმერ ილიჩი წავიდა მის სანახავად.

ლონდონში წავედით დიეჟით (1902 წ. აპრილში). მაშინ იქ ცხოვრობდა ნიკოლოზ ლეონიდეს ძე მეშჩერიაკოვი ცოლით, საკვირაო შკოლიდან ჩემი ძველი მეგობრები. როდესაც მას ვიცნობდი, მაშინ ის „ნაროდოვოლცი" იყო, პირველად არალეგალური მუშაობა მან დამაწყებინა, პირველად მან შემასწავლა კონსპირაციის წესები და სოციალ-დემოკრატი გამხადა მაწვდიდა რა „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" საზღვარ-გარეთულ ლიტერატურას.

ამ დროს დიეჟში ადგილი ქონდა დიდ მღელვარებას. რამდენისამე დღის წინად ჯარმა სროლა აუტეხა გაფიცულ მუშებს, [2]). აშკარათ ჩანდა, თუ როგორ ღელავდა მუშათა უბნები.. ვნახეთ სახალხო სახლი. ის ძალიან უხერხულ ადგილს არის აშენებული, შენობის წინ ადგილია მუშების ჩაკეტვა, როგორც ხაფანგში. მუშები სახალხო სახლისაკენ მიდიოდენ. მუშათა მრავალრიცხოვანი კრება რომ თავიდან აეცილებინათ სახალხო სახლში, პარტიულმა მეთაურებმა კრებები უბნებში დანიშნეს. ფორმალურათ ისინი მართალი იყვნენ, მაგრამ უნებურათ ბელგიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებისადმი უნდობლობა გვებადებოდა. ხდებოდა შრომის განაწილება: ერთნი ესროდენ ხალხს, ხოლო მეორენი ეძებდენ საბაბს ხალხის დასამშვიდებლად.

**ნ. კრუპსკაია.**

## პროვინციალური გაზაფხული

ცვალებადია დრო და ალაგი.
ახლა მაისმა მოსვლა ინებოს!
როგორც პოეტი ელის ქალაქი
თეთრი ტყემლებით დაგვირგვინებას.

ო, ყველას ახსოვს ზამთარი დიდი!
მაგრამ გამოჩნდა ტყის იალქანი.
ვით აივანი ამაღლდა ხიდი.
და აყვავილდა ძველი ბალკონი.

აღებენ ფანჯრებს ნაზი ხელები.
კვალად გაიხსნა ფუტკრების ტურნე.
კათოლიკური ტარაველები
ცას უგზავნიან სალოცავ სურნელს.

რუხ მდინარეზე სოველი ტივი
და სააღდგომო რეკა ზარების.
სადღაც იკერავს ფერმკრთალი ქვრივი
კაბას ტრაურულს და უღარიბესს.

ცაზე ჰკიდია მზე-მალაღური.
აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს,
ვით ბალდახინის თეთრი მსახური,
სასაფლაოსკენ ის მიაბიჯებს.

სადაც მოელის ლეში უძრავი
გაზაფხულს, როგორც თავის მესსიას.
და აზრაილი შეუმუსრავი
კიდევ მოითხოვს შავ პროცესიას.

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

---

# ზურაბ თეგაური

ნაწყვეტი გლეხთა ცხოვრებიდან.

**მოედანი სოფლად. გლეხების ყრილობა.**

ხალხის აღელვება. რაღაცა მომხდარა, რომ ორ ბანაკად დაჯგუფებულან—ბანაკი ოჯახიშვილების და ბოგანო გლეხების. ოჯახიშვილის მხარეზე: ალადი, ნარიდო, ბოხუტო.

**ზურაბ:** ყრილობამ ასე დაადგინა! მორჩა! გათავდა! ხარიანებმა მოინდომეს ჩალიან გალმა საიალაღოდ... უხაროებმაც კვერი დაუკრეს.. ეხლა რა მოხდა? რაზედ ყაყანებთ. ან ვინ აგრიათ.

**ბოგანო გლეხები:** მიწას ჩვენ ესე არ გავყოფთ— არა! ჩვენ არავის აურევივართ!

**ქიტეს:** მსუქანი ლუკმა ისევ ხელთ იგდეს.

**დიანო:** მაშ ჩვენ აქედან სჯობს ავიყარნეთ.

**მიხიტ:** მკლავზე გავყოთ! მკლავზე!

**ყველანი:** მკლავზე გავყოთ! მკლავზე!

**ზურაბ:** უკვე გადასწყდა... ოქმიც მთავრობას გადაეგზავნა. აქ ლაპარაკი ზედმეტი არის.

**მიტრო:** ზურაბ თეგაურო, ჩვენო მამავ და ჩვენო უფროსო! შენა ხარ ჩვენი მოსამართლე, უფროსიც და საქმის გადამწყვეტიც! შენ ხარ ამორჩეული მთელი ჩვენი სოფლიდან. არ იყო შენი წინაამდეგი: არც ღარიბი და არც მდიდარი! შე დალოცვილო! აგრე მიკერძოვება და ოჯახიშვილისკენ გადაწევა, უხარო ხალხის ფეხისდადგმა, სახეიროს არას მოიტანს. სად გაგონილა, რომ სათემო ადგილს შუაზე ჰყოფთ, ნახევარს არგუნებთ ხარიანებს: სულ

---

[1]) Maifeier—მაისის დღესასწაული.

[2]) 1902 წ. 12—18 აპრ. ბელგიელ მუშათა საყოველთაო გაფიცვა.

ათიოდე კაცს, ხოლო მეორე ნახევარს სამას კომლს. განა ეს სამართლიანია? ხალხო! ჩვენ მოვითხოვდით მკლავზე გაგეყოთ, თქვენ ეს ჩვენი მოთხოვნა ჩაგიფარცხნიათ და დღეს თითს გვაჭერთ, გინდა თუ არა, როგორც სოფლობაზე გადასწყდა, ისე უნდა გაიაროსო. სოფლობაზე განა სათემო მამულზე ხმა-კრინტი დაგვიძვრია? ჩვენ რომ ოქმზე ხელი მოვაწერეთ, ის საძოვარ მინდვრებს შეეხებოდა. თქვენ კი სახნავ-სათესიც ზედმიგიყოლებიათ—„ასე არ არის თაყაო", ასე არ შეიძლება. და არც თანახმა გავხდებით. რას იტყვით, ხალხო!

**ბოგანოები.** არ შეიძლება! ნებას არ მოგცემთ!

**ქიტეს.** მოიცათ ხალხო! შენ ჩვენი ამორჩეული კაცი ხარ



როზა ლუქსენბურგის სახელობის ქარხანა.

რას მიქვიან ასე გადასწყდაო. ერთხელ თუ ასე გადასწყდა და ჩვენ შეცდომა დაუშვით, ახლა ასე გადმოვწყვიტოთ! ჩვენ ყველა შენი შვილები ვართ. ყველა თანაბრად უნდა გაგვიკითხო. ის ოქმი უნდა დაიხიოს.

**ალადი.** რა უნდა დაიხიოს? ვინ უნდა დაიხიოს? ერთხელ გადაწყდა, მორჩა და გათავდა. ჩვენი მამასახლისი შენი სათამაშო არ არის, არა! მე კომისიაში ვარ ამორჩეული, ნებას არ მოგცემთ დაარღვიოთ.

**ქიტეს** მაშ მთელი სოფელი შენ გინდა მუცელში ჩაიდო? გასძღები? გასძღები?

**მიხიტ.** შენ თუ კომისიაში ხარ ამორჩეული, ჩვენც იმ კომისიაში ვართ. შენ ხმა გაქვს და ჩვენ ჩაგვიწყდა? შენ თუ ამ სოფლის ხარ, ჩვენ გერები არ მოვსულვართ, არა!

**ნარიდო.** შენ თუ ყბა დაალე, ვილა გაგაჩუმებს.

**მიხიტ.** ყბა თქვენ დაგიღიათ, რომ გინდათ ქვეყანა გადაჰყლაპოთ.

**ნარიდო.** შენისთანა ამოგანგლული თუ გადავყლაპე, კარგ გემოსაც ჩავიტან.

**მიხიტ.** შე ქონიანო ღორო!

**ნარიდო.** შე ფეთხუმო ავარავ!

**ლენკო.** ავარა შენ ხარ, რომ დღე და ღამე სახლის კარები არ იცი!

**ნარიდო.** შენ რომელი მეცამეტე გოჯი გამოსდექ? რა გინდა? რას ეჩრები? შენ ვინ რას გეკითხება?

**ლენკო.** სოფელს არ შევაჭმევთ, არა!

**მიხიტ.** იგრეც თავს წახვედით.

**მიტრო.** სამართალი სად არის, სამართალი?

**ალადი.** ცინგლიანებო! არ დაგითმობთ!

**ნარიდო.** სადაც თქვენი სთქვათ, ჩვენიც იქ დაიკვეხეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქიტეს.** თუნდაც რომ სისხლი დაიღვაროს, არც ჩვენ დაგითეობთ!

**ორივე მხარე.** არც ჩვენ დაგითმობთ! არც ჩვენ დაგითმობთ!

**ზურაბ.** დაჩუმდით! დამშვიდდით! დაჩუმდით! დამშვიდდით! დაწყევლოს ღმერთმა! რა ალესილან ცოფიან ძაღლებივით! გიცხადებთ ყველასა გასგონად. რაც გადასწყდა, ის აღარ შეიცვლება. ეხლა დაიშალენით და თუ ხმას ვინმე კიდევ დასძრავს, გომში ჩავაგდებ, არ დავინდობ! ხელფეხს დავუბორკავ, გადავასახლებ!

**ქიტეს.** ძალა თქვენ ხელშია, მაგრამ ყოველთვის ხომ ერთი ამინდი არ იქნება? დრონი მეფობენ!

**ზურაბ.** მე მაგ მუქარას არ გაპატიებ! ხალხო! ვიცი თქვენ ვინც გაქეზებთ და ვინც აქ ჩვენს თემში წყალს ამღვრევს. ჩემს თვალს არაფერი გამოეპარება. გირჩევთ იმ გადმოვარდნილ ამბოხარს თავი დაანებოთ. თვითონ რის პატრონია, თქვენ რა უნდა შეგძინოთ. თვითონ უგუნური და გოროზი, თქვენ რომელ სწორ გზაზე უნდა დაგაყენოთ. კაცი რომელიც ლაპარაკობს დღევანდელი არაფერი მწამსო, მისგან რა უნდა გამოვიდეს. თუ მასთან კიდევ შეჰკრეფილხართ და გავიმართნით ჩურჩულ-კურკური, ვფიცავ ჩემს ჰაღარას, თქვენც და იმასაც ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ ცოდვით მაღლა ცა და ძირს დედამიწა იწვებოდეს, ახლა წადით, დაიშალენით! ჰეი დარაჯო! დაშალე ხალხი!

**მიტრო.** ეგ არის შენი სამართალი?

**დარაჯი.** დაიშალენით! (ბოგანო გლეხები გადიან იძახიან: სადღაა სამართალი? კაცი არ ვიყო, თუ არ ვანანო!

**ბახუტო.** ჰე, რა დრო დადგა! ჩემსობას კიდევ ახალგაზრდობას მორიდება ჰქონდა.

**ზურაბ.** აი, ეს ხალხი სულ შენგან არის აღვირწახსნილი.

**ბახუტო.** მეც ვიყავ შენებრ მოხელე, მაგრამ ზრდილობიანად და პატივისცემით მექცეოდნენ.

**ზურაბ.** შენ ყველას თავს უყადრებდი, და რასაკვირველია, პატივს გცემდნენ, ასეთ ნადირებისთვის შენ მეტად კეთილი იყავ, მაგრამ ბატონი კი არ ჰყოფილხარ.

**ბახუტო.** ვფიქრობდი ყველაფერს დროება გამოასწორებდა.

**ზურაბ.** დროება!! თუ კაცს რამის მიხწევა უნდა, გულხელი არ უნდა დაიკრიფოს. დროებამ როგორ უნდა გამოასწოროს. შენ თვითონ უნდა იმოქმედო. ჩემო ბახუტო, ამას საწყენად არ მოგახსენებ.

**ბახუტო.** ზურაბ, მე არ მწყინს. ვშიშობ ხალხი უფრო არ გახელდეს. მე მეშინიან აღელვებულ მდინარის, ანთებულ ცეცხლის და მოთმინებიდან გამოსულ ხალხის.

**ზურაბ.** მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი დავიცვა კანონები და არც არაფერი დავუთმო, თუნდაც რომ წინააღმდეგობა გამიწიონ. აბა, ეს რას ჰგავს: ხალხმა დაკარგა სარწმუნოება, სარწმუნოებასთან სათნოება, სათნოებასთან—ადამიანობა. ხალხი ეხლა ყურს უგდებს რაღაც სიტყვების რახარუხს. რაღაცა ცოციალისიაო. კამუნააო, მაქსიაო. ადამიანის მოგონილი რა უნდა იყოს, თუ ღვთიდან არ არის? თუ რწმენა არ იქმნა, მდაბალი უმხედრდება მაღალ ღვთაებრივს. სძულთ მდიდრები. სიმდიდრე ხომ ღვთისაგან ბოძებულია. მართალს არ ვამბობ?

**ნარიდო.** ბრძენი ხარ სწორედ!

**ალადი.** დიახ რასაკვირველია, რომ სიმდიდრე ღვთის ჯილდოა, სიღარიბე კი სასჯელი!

**ზურაბ.** გეგმად მაქვს დიდი მემამულე ოჯახიშვილები შევაკავშირო, რომ თავგასულ დღიურად მომუშავეებს მაგარი ლაგამი ამოვდოთ. ყველაზე ძალიან ეს მუქთად მოხეტიალე ხალხი მაბრაზებს. წამოსხდებიან სამჯავროს წინ და ენას ალაქლაქებენ.

**ნარიდო.** მათ მუხრუჭი, რომ სამუშაოზე იაფად იარონ...

**ალადი.** აუკრძალე რომ დღიური ხელფასი ყოველდღე არ უმატონ.

**ბახუტო.** ეგ ხომ ჩემთვის აღდგომა იქნება! ასმევ, აჭმევ, ქალამანს აძლევ და კიდევ დღეში ექვს შაურს თხოულობს!

**ზურაბ.** მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება ამ უკანონო ქორწინებას უნდა მივაქციო, რომ ამ ნაბიჭვრებს ბოლო მოეღოს, რომ ერთიორად მრავლდებიან ღარიბღატაკნი და ჩვენ გვაწვებიან კისრად. ამასთან შემცირდება ქალების მუცლის მოწყვეტა და მისგან გამოწვეული სიკვდილი. ვინც ჩემს აზრს შეურიგდება, ის ჩვენშიც იცხოვრებს, ვინც არა და ოთხსავ-კუთხივ გზა ხსნილია! ჩვენში სასტიკი წესიერება და ოჯახური პატიოსნება უნდა დავამყარო. უნდა ამოვფხვრა ყოველგვარი აღვირახსნილობა და გარყვნილება.

**ალადი.** მტკიცედ! მტკიცეთ!
ჩვენც მხარს დაგიჭერთ!

**ნარიდო.** შენი გზა სწორია!

**ბახუტო.** ვაშა ჩვენს მამასახლისს!

**ალადი.** ბატონო ზურაბ! ამ თქვენს განზრახვებს დალოცვა უნდა.

**ზურაბ.** აბა მობრძანდით, თადარიგი მიცემული მაქვს.

**ბახუტო.** თქვენ პირის გემოც კარგი იცით!

**ზურაბ.** ზაქარო! პირის სასმუსნავი!

**ბახუტო.** აი აქვე. სახელდახელოდ. ამ მაგიდაზე სულ ხომ ოქმები არ უნდა იწერებოდეს.

(გამოაქვს ზაქაროს დოქით ღვინო და სხვა ხორაგი).

**ზურაბ.** წელან რომ თვალი ჩაგიკარით განა ვერ მიმიხვდით, ყელის გასასველებელი მეგულებოდა?

ეს ერთმა ქვრივმა დედაკაცმა ჩუმად მოგვართვა.

**ალადი.** შენ მაინც ქვრივებს არ ეხსენები! ხე, ხე!

**ზურაბ.** აბა რას ბრძანებ, ნათლია ჩემო!



ზეთის სახდელი ქარხანა.

**ნარიდო.** კაცი რომ საქმეს უკეთებდეს...

**ბახუტო.** რას უკეთებდეს?

**ნირიდო.** საქმეს, კაცო! საქმეს! შენ ნუ იმაისქნი— ხოლმე.

**ზურაბ.** იხუმროს, ჩემი ფანდი არის!

**ბახუტო.** მე კი სად შეგედრები, მაგრამ

. . . . . . . . .

**სანდრო შანშიაშვილი.**

---

# წერილები მოსკოვიდან.

გაქანებული ტემპით მიდის თეატრალი ცხოვრება მოსკოვში. ამდენი თეატრი მოსკოვს ჯერ არ უნახავს. მალე თეატრების რიცხვი მოსკოვში ეკლესიების რიცხვს შეედრება ალბად. ყოველს თეატრს აქვს საკუთარი სახე: ყოველი თეატრი ცოცხლობს საკუთარი მიმართულებით. ხშირად ერთი წარმოდგენის ნახვით მთელი თეატრის ხასიათს გაიცნობთ. ხასიათი კი მრავალია. ხშირად პოლიარულიც: მოსკოვში თქვენ იხილავთ „სამხატვრო თეატრს", საცა მიდის ძველებურად „მეფე ფეოდორე" და სხვა მისთანა, და ამავე დროს იქვე არსებობს თეატრი „სემპერანტე", საცა მიდის პიესა კი არა, არამედ იმპროვიზაცია და ეს—იმნაირად, რომ ერთსა და იმავე სათაურით თქვენ ისმენთ სხვადასხვა ვარიანტს ერთი და იგივე თემისას. სხვათა შორის, „სემპერანტეს" თეატრში დეკორაციების მაგიერ შემოღებულია „ჯადოსანი ფანარი": თუ საჭიროა მაგალითად „ბაღი", ამ „ფანარის" განარებით სცენის უკანა პლაზე იხატება ბაღი, რომელიც არც ისე ჩამოუვარდება დახატულს.

. . . . . . . . .

ერთი უმაგრესთაგანი თეატრი არის „მეორე მხატი" (ყოფილი პირველი სტუდია მოსკოვისს სამხატვრო თეატრისა). ამ თეატრში უკვე მონახულია გეზი და ახალ-ახალის ძიებას თითქმის ადგილი აღარც აქვს. როცა „ჰამლეტის" სანახავად მივდიოდი იქ, მე არ მჯეროდა, რომ ჩვენს დროში შესაძლოა მოსმენა ამ ხანგადასული ტრაგედიის (სცენიურის მხრით) ასეთი ნერვების დაჭიმვით მოსმენა. მე მინახავს მრავალი ჰამლეტი. ყველა ისინი ერთი მეორეს გავდენ. სხვაობა მხოლოდ იმაში იყო, თუ რომელი უფრო უკეთესად თამაშობდა. ერთი თამაშობდა კარგად, მეორე საშვალოდ, მესამე ცუდათ, მაგრამ ერთიც მეორეც და მესამეც ისევ ის ძველი ჰამლეტი იყო. არტისტი ჩეხოვი კი იძლევა სრულიად ახალს ჰამლეტს. ტრადიციულ მონოლოგს „ყოფნა არ ყოფნა" მაგალითად ის სულ სხვანაირად გრძნობს. იგი არ არის ფიქრებით დამძიმებული, გარინდებაში გადასული, როგორც ეს მრავალს ჰამლეტის გამსახიერებელს სჩვევია. იგი გამორბის სცენაზე თითქო აჰხნიანი და ისტერიული სიტყვებით ისვრის სულშა დაბორკილ ბოღმას. შთაბეჭდილება ძლი-

ერია. მეტად საინტერესოა ჰამლეტის სცენა მამის აჩრდილთან. აჩრდილი სცენაზე არ სჩანს. სცენის უკან ხმაურია. ამ ხმაურში ისმის აჩრდილის სიტყვები ნატეხ-ნატეხი. თვითონ ჰამლეტი სცენის მაღლაა. სცენა დაბნელებულია და მკრთალად არის განათებული მხოლოდ ჰამლეტის თავი და მკერდი. შეიქმის შთაბეჭდილება მიწისგან დაცილების (ჰამლეტის ტრაგედიაც ხომ ეს არის!). ჰამლეტი აქ თითქმის მიწისგან განთავისუფლებულია: სხეული-მიწა აღარაა. არის მხოლოდ ლანდი. ამ ლანდურზე ჰქმნის ჩეხოვი ჰამლეტის ხასიათს. სრულიად სხვაა თვითონ მეფე (ჰამლეტის ბიძა): დამძიმებულია „ხორცით". ეს წვრიმალშიაც სჩანს. როცა იგი ლოცვას ათავებს და წამოდგება, თქვენ გრძნობთ „დახორცილ" მუხლებს, რომლებიც მიწას თითქო ვერ სცილდებიან. მეფის სასახლის პერსონაჟი მოხდენილად არის გამოყვანილი. ყველას ერთნაირი ტანსაცმელი აცვია. ერთი მხარე ერთი ფერისაა, მეორე მხარე მეორისა. არც ერთი სახე არ არის პიროვანი: ყველა უპიროვნოა. მთელი ჯგუფი ქვეწარმავალთა შთაბეჭდილებას იძლევა.

სხვა პლანით მიდის იმავ თეატრში „რწყილი". ეს არის ნამდვილი ხალხური ბალაგანი. დეკორაციები კუსტოდიევისაა, რომელსაც ასე კარგად ესმის რუსეთი: ფერები: მკაფიო, ჰვრიალა, მწიფე, ლესკოვის საუცხოვო მოთხრობა მოხერხებულად არის ევგენი ზამიატინის მიერ სცენიურ ჩარჩოებში გადატანილი. ეს არის მოთხრობა თუ როგორ მოატყუეს რუსეთის უბრალო ოსტატებმა ინგლისის დაქნილი ოსტატები. ინგლისელ ოსტატებმა გააკეთეს რწყილი: ნამუშევარ, რთული და მსუბუქი. ტულის „მუჟიკებმაც" კი დასჭედეს ის რწყილი, და ისე ოსტატურად, რომ ინგლისელებმა ვერც კი შეამჩნიეს. მთელი პიესა გაჟღენთილია ხალასი ჰარბი ჰუმორით, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრებული რეჟისორის სხვადასხვა „ტრჲუკით" ატამან პლატოვის "ლოშკის ტროიკა", მფრინავი ქუდები მეფის მოვლინებისას, ლუბკის ფრინველნი, რომელნიც ფანრით „ადიან" გასროლისას, „დუბინუშკას" სიმღერა, რომლის გამღერებისას აქანებენ უდიდესს ნამორს, რომ მიანგრიონ კარდონის პატარა სახლი, „გარმოშკა" და კიდევ მრავალი სხვა. ძლიერ მოხდენილია პირველ სურათში მოხუცთა პარადი, რომლის უკან მოდის მეეზოვე დიდი ცოცხით. მთავარი მოქმედი პირი ცულის ოსტატია—ენაბლუ ლეუშა (ვოლკოვ): „ივანუშკა დურაჩოკის" ერთნაირი ვარიაციით, რომელი შტერია ჩვეულებრივ და ამავე დროს ყველგან ყველაზე ჭკვიანი გამოდის. პიესა, როგორცა ვსთქვი, ლუბკის პლანითა გამართული. მიუხედავათ ამისა, ვოლკოვი იძლევა ლევშას გულის-ამჩუყებელ ფიგურას. როცა საზღვარგარედ ლევშა ნაღვლობს სამშობლოზე, ძნელია ცრემლები შეიმაგრო.

მეირხოლდის თეატრმა თავის „მასწავლებელი ბუბუსით" განმაცვიფრა. ორი წლის წინად ამ თეატრში ვნახე „Великодушный рогоносец" და ამ წარმოდგენისგან დამრჩა შთაბეჭდილება „პროზსაცმელის", კონსტრუქციულ სცენის, დეკორაციების მოსპობის და სხვა „ეხლა კი ვნახე: არტისტი-ქალები უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილნი, არტისტი-ვაჟები ფრაკებით და ცილინდრებით. სცენა მორთული იყო შირმებით, სხვადასხვა ავეჯით) ლამპებით. ბალი სცენაზე შადრევანითაც იყო გადმოცემული, საიდანაც ამოსჩუხდა ნამდვილი ნაკადი. პირველი შეხედვით „სამხატვრო თეატრის" ნატურალიზმი გაგონდება. მაგრამ შემდეგ შიშით იფიქრებ, რომ ეს ნატურალიზმი სხვაა: იგი „მობრუნებულია". მეირხოლდი მთლად ძიებაა და ამაშია მისი რევოლიუციონურობა. მაგრამ ამაზე—სხვა დროს.

. . . . . . . . . .

„მცირე თეატრიც" ვერ გადაურჩა ახალ „სიოს". აქაც შეიპარა „ძიება". ჯერ ლუნაჩარსკის „დათვის ქორწილით" და ეხლა ახალი დადგმით „Иван козир и татиана руских". ამ დადგმაში მარჯვედ არის გამოყენებული ტრიალა სცენა. მოქმედება სწარმოებს დიდს ოკეანის გემზე. სცენა ტრიალობს და თქვენს წინ იხსნება: ხან პალუბა, ხან სალონი, ხან სათბობელი, ხან რესტორანი, ხან მორგი და სხვა წარმოდგენა ცოცხლად მიდის.

. . . . . . . . . .

ორი სიტყვა ყოფილ კორშის თეატრზე. წარმოდგენის დღეს აქ ვიხილე „ბარიშნიკები". მიდიოდა „დედოფალის შეთქმულება" პიესა ალექსეი ტოლსტოისა და შჩეგოლევის. როგორც პიესა არაფერია: არც სიუჟეტი, არც დრამატიული ხლართები, არც სხვა რამ. მისი გამარჯვება აიხსნება მით, რომ სცენაზე გამოდიან ისტორიული პირები, რომელთა თანამედროვენი თვითონ მაყურებელნი არიან. ამ მხრით იგი მართლაც საინტერესოა. გრიმები პირდაპირ შესანიშნავია: ნიკოლოზ რომანოვის, რასპუტინის, პროტოპოპოვის და სხვების. ეს გაცოცხლებული სახეები დიდს სიცხოველეს ჰბადებენ მაყურებელთა ატმოსფერაში. უნდა ითქვას, რომ ამ თეატრში რჩეული არტისტული ძალებია. მე ვიცნობ მრავალ მოსკოველს, რომელიც არ გამოტოვებს არც ერთს ახალს დადგმას, მაგრამ დრო და დრო არტისტებზე დასასვენებლად" კორშის თეატრს მიმართავს ხოლმე"

ე. რობაქიძისა.

მოსკოვი აპრილის 10. 1925 წელი